# ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანაჲ!

# საქართველოს რესპუბ


გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ოთხშაბათი, 13 აპრილი. 2023 წ. №42 (9574) ელ.ფოსტა: sakres




## ქრისტე აღდგა! გიხაროდენ!

16 აპრილს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია, თითოეული მართლმადიდებელი



ქართველი დღესასწაულობს ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას.

...დიდ შაბათს ღამით, ნაშუაღამევს, ქრისტეს საფლავის მცველებმა მოულოდნელად იგრძნეს მიწისძვრა და იმწამსვე დაინახეს ანგელოზი ელვარე სამოსელით, რომელმაც საფლავის კარებიდან ლოდი გადააგორა და იქვე ჩამოჯდა. ქრისტე აღდგა!

აღდგომის შემდეგ ორმოცი დღე დარჩა ქვეყანაზე და ბევრჯერ გამოეცხადა მოწაფეებს, რომლებიც დარწმუნდნენ, რომ აღდგა მათი მოძღვარი იესო ქრისტე...



**ავთანდილ არაბული:**

## სახელმწიფო ენა ქვეყნის სუვერენიტეტის ჯაჭვი და ჯავშანია

**მოვიდა კიდევ ერთი 14 აპრილი და კვლავაც ილია მართლის თანამდევმა რეფრენმა გაიჟღერა გულისგულში: „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?!“**

ცოდვა გამხელილი ჯობია და ერთი გაფიქრება ესეც ვიფიქრე: – მოდი, ამ ერთ თოთხმეტ აპრილს მაინც მდუმარედ შევხვდები-მეთქი...

ამის გაფიქრება იყო და, დამშვიდების მაგიერ, ძილი და მოსვენება დავკარგე, – ვაითუ სხვამაც ამგვარად იფიქროს და ისედაც ღარიბი ნათესავის მდგომარეობაში ჩავარდნილი დედაენა მთლად უყურადღებოდ დაგვირჩეს!

თანაც: ძილის დაკარგვამ, ანუ უძილობამ, ამინდისა არ იყოს, „განაცვლება“ იცის – შეიძლება ერთიც ისე დაგეძინოს, აღარც კი გაგეღვიძოს! მერე ვიღა იტყვის შენს სათქმელს?!..

დღევანდელი მთავარი სათქმელი კი ის არის, რომ კოშმარული კოვიდის პრელუდიის გავლით ჩვენ სრულიად ახალ, ულმობელ გლობალურ რეალობაში გავიღვიძეთ და ახლა ამ გაშიშვლებული სინამდვილის სწორად დანახვასა და შეფასებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, მათ შორის, ენობრივი პოლიტიკის სფეროში.

ჭეშმარიტად: **ზოგი ჭირი მარგებელია და ამ ახალმა რეალობამ ხელშესახებად დაანახა ჩვენს საზოგადოებას ახალი მსოფლიო „წესრიგის“ ავ-კარგიც და საკუთარი ქვეყნის მდგომარეობაც,** გაუფანტა ილუზიები და წარმოუჩინა მტერ-მოყვრის სახე...

თავისი წილი მადლობა ეკუთვნის იმათ, ვინც „ხალხის ხმად“ დაუბრუნა ჩვენს საზოგადოებას ეს შიშველი სიმართლე!

რაც მთავარია, ამ ფონზე სრულიად დაკარგა საფუძველი ფართოდ გავრცელებულმა კონფორმისტულ-ლიბერასტულმა „სლოგანებმა“: „რა დროს ენაზე ლაპარაკია, როცა ხალხს უჭირს“!, „ვის ადარდებს ქართული ენის ბედი!..“, „ენას მერეც მივხედავთ...“

პირიქით: **თანამედროვე ეროვნული სახელმწიფოს სუვერენიტეტს უპირველესად სახელმწიფო ენა გამოხატავს, სახელმწიფო ენის მდგომარეობაა ნამდვილი სარკე ამა თუ იმ ქვეყნის სუვერენიტეტისა. ამ სარკეში თანამედროვე ქართული სახელმწიფო საკმაოდ არასახარბიელოდ ჩანს!**

იხ. 6-7 გვ.

**ნუგზარ ფოფხაძე:**

## შთამომავლობამ უნდა იცოდეს – „ვინ არის ვინ!“

იხ. 3 გვ.



## მაკა ჯოხაძე – ელვარე ნიჭით 7 წარმოჩენილი



**ელდარ ნადირაძე:**

## 2 „ე, ბიჭო, დამილიე ერთი ჭიქა ღვინო!“

ჯაზო, შეიღებით ნაზარით!..

**ვადიმ ანასტასიადი:**

## ვინც გაფრთხილებულია, ის მზად უნდა იყოს!.. 4

# ვაზო, შვილივით ნაზარდო!..




**ლიან გასაგებად და სხარტად გამოხატავს წიგნის შექმნის დედაარსს.**

პროფესორ ელდარ ნადირაძის სამეცნიერო მონაგარში არაერთი, სრულიად უნიკალური ნაშრომია, სადაც ქართული ეთნოკულტურის შინაგანი სამყაროა წარმოჩენილი, ესაა სამამულო ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის სამეცნიერო დარგებზე დამყარებული კვლევა ქართველი ხალხის განვლილი ცხოვრების შესახებ, რომელიც საფუძველია ჩვენი სამომავლო არსებობისათვის რათა არ ვიქნეთ ჩაძირული მსოფლიო ინტეგრაციის ოკეანეში.

ამ ახალი წიგნის დაბადება პროფესორ ელდარ ნადირაძესთან ჩემი შეხვედრის მთავარი მიზეზი გახლდათ. თუმც, ვიდრე ჩვენი საუბრის შესახებ გიამბობდეთ, მინდა ამ ჩინებულად დასტამბული მონოგრაფიის არქიტექტონიკა გაგაცნოთ: საქართველოში მევენახეობისა და ღვინის დაყენების შესახებ უძველეს ცნობებს, არქეოლოგიური მონაცემები მოსდევს, შემდეგი თავების სათაურები თავადაც ყველაფრის მთქმელია: „ვაზი და ვენახი“, „რთველი“, „მარანი და ველი, რომელზეც ქართული კულტურის ერთ-ერთი მშვენება – ვაზის მოვლა-პატრონობა და ღვინის დაყენება-მოხმარება აღმოცენდა. მაგალითად, ქვემო ქართლში, გადაჭრილ გორაზე, ქვევრის ფრაგმენტში მიგნებულმა ღვინის ნარჩენმა მასალამ დაადასტურა ის გარემოება, რომ ეს ღვინის წარმოების კულტურის მსოფლიოში ნანახი **უძველესი არტეფაქტია,რის გამოც ქართული მეღვინეობა მსოფლიოში უძველესად იქნა მიჩნეული. სხვათაშორის ამასვე ამტკიცებს პალეობოტანიკური მასალა,რომელიც ამავე ძეგლზეა დადასტურებული – ქართული ღვინის ისტორია სადღეისოდ ძველი წელთაღრიცხვის მე-8 ათასწლეულში იწყება და ეს მანამდე იქნება ასე, ვიდრე მის კვალზე უძველესი მასალა სადმე სხვაგან არ იქნება აღმოჩენილი.**

წიგნში – „ვაზი და ღვინო საქართველოში“ – აღარ მინდოდა ვრცლად მესაუბრა თემასთან დაკავშირებული დიდი ხნის კარგად ცნობილი ფაქტების შესახებ, ამიტომ, ძირითადად ყურადღება გავამახვილე ღვინის



ანანური, ვაზის რელიეფი.

# „ე, ბიჭო, დამილიე ერთი ჭიქა ღვინო!“

**„ჩემი უშუალო მონაწილეობით, სხვადასხვა დროს, ქართული ღვინისადმი მიძღვნილი ოთხი დიდი გამოფენა გაიმართა: ლონდონში, ბერლინში, ბორდოსა და ტოკიოში. ეს იყო ქართული სამეურნეო კულტურის უმაღლეს, მე ვიტყოდი, სენსაციურ დონეზე შეფასებული აქტი, რომელიც მთელმა მსოფლიომ მიიღო და, ფაქტობრივად, საქართველო უცხოელთა მიერ აღიარებული იქნა ღვინის პირველ მწარმოებელ ქვეყნად ძალზე მნიშვნელოვანი სლოგანით: „საქართველო ღვინის სამშობლო“ და „საქართველო მეღვინეობის აკვანი“. (ეს უცხოელთა შეფასებაა – ო.ჭ.)**

**ამ გამოფენებს ამშვენებდა ბრწყინვალე არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალა – ერთი უმთავრესი საბუთი ქართული ღვინის უძველესობის დასადასტურებლად, მაგრამ აქ არ იყო და ვერც იქნებოდა წარმოდგენილი ვაზის მოვლით გამოჯეკილი სული ქართველი მევენახისა, აქ ვერ იქნებოდა წარმოდგენილი ხასიათი და ბუნება ქართველი კაცის გულითადი თხოვნისა: „ე, ბიჭო, დამილიე ერთი ჭიქა ღვინო“. ამ წიგნისთვის შეიძლება სულაც ასე დამერქმია, რადგან ამ უცნაურ თხოვნაში შრომის სიამაყის სიკეთეა ჩაბუდებული და მიმაჩნია, რომ ამ თხოვნაში იკვეთება კაცის ღირსება.**

**ამიტომ, შევეცადე წიგნში ღვინის ესთეტიკა დამეყენებინა წინა პლანზე, ვიდრე რკვევა მისი ისტორიული საფუძვლებისა“. – ეს გახლავთ ამონარიდი ჩვენი ცნობილი მეცნიერის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ელდარ ნადირაძის ახალგამოცემული წიგნიდან – „ვაზი და ღვინო საქართველოში“. ეს ციტატა, მართალია, რამდენადმე ვრცელია, რისთვისაც ბოდიშს მოვიხდი, მაგრამ ძა**ზედაში“, „ყურძნის დაწურვა. ქვევრი და ქვევრის ღვინო“, „სანადიმო ღვინის ჭურჭელი“, „ქართული სუფრა და თამადა“, „ვაზი და ღვინო ქართულ ქრისტიანულ ხელოვნებასა და ხალხურ სიტყვიერებაში“, დაბოლოს „ღვინის კულტურასთან დაკავშირებული მცირე ტერმინოლოგიური ლექსიკონი“.

– საქართველოში ვაზისა და ღვინის კულტურის შესახებ არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით წიგნის შექმნის მიზანი, ქართული ღვინის უძველესობის ჯეროვნად წარმოსახვის ჩემი დიდი ხნის სურვილის განხორციელება გახლავთ, – ამბობს ბატონი ელდარი. – დღესდღეობით ჩვენში ღვინის მოხმარების თაობაზე აუარება მასალა ქვეყნდება, რომელთა ავტორებიდან ზოგნი მასზე მეცნიერული განსჯით წერენ, ზოგნიც გადამეტებული სიამაყით, ზოგნი კიდევ კილვითა და კრიტიკით. არადა, მოგეხსენებათ, რომ ისეთი უძველესი, რვაათასი წლის ასაკის მასალა, როგორიც ღვინოსთან და მეღვინეობასთან



სარიტუალო ღვინის ქვევრი სამადლოდან, ძვ. წ. VI–III ს.

დაკავშირებით საქართველოშია ნაპოვნი, მსოფლიოში ჯერჯერობით სხვაგან არსად არ მოიძებნება, რაც არაერთგზის დადასტურდა, როგორც ავტორიტეტული სამამულო, ასევე საზღვარგარეთული ლაბორატორიული კვლევების შედეგად. ჩვენ, როგორც მეცნიერები, ვალდებულნი ვართ სრულფასოვნად წარმოვაჩინოთ ის საფუძდაყენების, მოხმარებისა და სუფრის ინსტიტუტის ესთეტიკაზე. სამაგალითოდ ერთი ნიუანსს აღვნიშნავ: გასაოცარი თქმა გვაქვს ქართველებს – „დამილიე, ძამიკო, ერთი ჭიქა ღვინო!“, მიმაჩნია რომ ამ თხოვნაში იხატება სურვილი კაცისა, დაულიო ერთი ჭიქა ღვინო არა იმიტომ, რომ ეს ღვინოა უბრალოდ, არამედ გთხოვს იმიტომ, რომ გაუგო და შეუფასო, მთელი წლის შრომამ რა რიგის ნაყოფი მოიტანა და როგორია იგი როგორც კაცი და როგორც მშრომელი ადამიანი. რაც უფრო მეტია ღვინის დაყენების შექება, მით მეტია მისი პატრონის სიამაყის გრძნობა, უფრო დიდია სიხარული! ხომ ვიცით: ისტორიულად – შემოსეული მტერი პირველს ვაზს ერჩოდა, რისი მიზეზი ის იყო, რომ ხალხისთვის მარჩენალ მიწასთან კავშირი გაეწყვიტა და ამით გამოეცალა მისთვის ძალღონე.

**ცნობილია, რომ ყველა ერს გააჩნია მისთვის დამახასიათებელი ერთი რაღაც ნიშანდობლივი თვისება, რომლის ირგვლივ ყალიბდება მთელი მისი კულტურული მემკვიდრეობა. მაგალითად: გერმანელებისთვის ასეთია მუსიკა და ფილოსოფია; ფრანგებისთვის – განუმეორებელი სინატიფე და მაღალი მოდა; ინგლისელებისთვის – გარკვეული კონსერვატიზმი და ძველი ტრადიციებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება; იაპონელებისთვის, ვთქვათ, მცირეში დიდის დანახვის განსაკუთრებული ნიჭი და ა. შ. ჩვენში ეს როლი მიწათმოქმედებას ეკუთვნის, ესაა ქართველი კაცის უმთავრესი ისტორიული დასაყრდენი. სწორედ მის გარშემო მოიყარა თავი შემდგომ ჩვენი ეროვნული კულტურის სხვა დიდებულმა, გამორჩეულმა ელემენტებმა: სიმღერამ, ცეკვამ, ფოლკლორმა, საცხოვრისმა, სამოსელმა, სტუმარ-მასპინძლობამ, სუფრის წარმართვის უნიკალურმა წესმა....**

* * *

აქ ბატონ ელდართან საუბრის შინაარსის გადმოცემას წამით შევწყვეტ და ღვინის სასმისებთან დაკავშირებულ რამდენიმე ფრაგმენტზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას, პატივცემულო მკითხველო:

**„ღვინო თავად ირჩევს სასმისს და ადამიანის არსი ამ მოთხოვნილებას სიამოვნებით ემორჩილება“, – ასე გონებარჩეულად ახასიათებს სუფრის ამ უმნიშვნელოვანეს ატრიბუტს ავტორი და კიდევ: „აღმოსავლეთის ქვეყნებში თბილისის ეპითეტია „სიხარულის ქალაქი“, რომელიც დასახლებულია ზეიმისა და ღვინისმოყვარე ხალხით. სწორედ აქ, ამ სფეროში ჩამოყალიბდა ღვინის ისეთი ორიგინალური სასმისები, როგორიცაა ყარყარა და აზარფეშა, სხვაგან: კულა, მარანი, შვილებიანი ლიტრა, ყანწი, სამთვალა, კოჩხო, თასი, ფიალა და სხვა.**

საინტერესოა, რომ სასმისების მრავალფეროვნებასთან ერთად მათ კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოება – განსხვავებული ზომები და შესმის ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებული ტექნიკაც ახასიათებთ, რაც ასევე მეტად საყურადღებოა და ქართველი კაცის მიერ „ბატონი ღვინის“ ერთგვარ ჭიდილში გამოწვევადაც შეიძლება აღვიქვათ, – განაგრძობს ბატონი ელდარი.

იხ. 12 გვ.



ყურძნის წურვა საწნახელში.



ქართული ლხინი (XX–XXI ს.).

# ღმერთმა მშვიდობა მოჰფინოს უკრაინას და მთელ მსოფლიოს





## სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წერილი მსოფლიო პატრიარქს

(25.03.2023)

თქვენო ყოვლადუწმინდესობავ!

მოგესალმებით ქრისტესმიერი სიყვარულით და მოგმართავთ შემდეგი საკითხის გამო:

პირველ რიგში, გვსურს, კიდევ ერთხელ გამოვხატოთ ჩვენი დიდი გულისტკივილი რუსეთ-უკრაინის ომის გამო, რასაც სამშობლოს დამცველ ჯარისკაცთა და ათასობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე ეწირება. ჩვენ ეს პროცესები გავიარეთ და კარგად გვესმის იქ არსებული ვითარების სიმძიმე. ზემოთქმულთან ერთად, ვწუხვართ უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიაში ამჟამად არსებული მდგომარეობის გამოც.

ჩვენთვის ისიც გასაგებია, რომ მათთან მიმართებაში ომში მყოფ უკრაინის ხელისუფლებას აქვს თავისი პოზიცია და რელიგიურ სიღრმეებს ნაკლებად ითვალისწინებს. ამიტომაც მოგმართავთ თქვენ, თქვენო ყოვლადუწმინდესობავ.

როგორც ცნობილია, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მღდელმთავრების, სამღვდელოებისა და მრევლის უდიდესმა ნაწილმა ამ ომში თავისი ქვეყნისადმი ერთგულება გამოიჩინა და უკრაინის ძლიერება მათმა ერთსულოვნებამაც განაპირობა. რა თქმა უნდა, იქნებოდნენ განსხვავებული პოზიციის მქონენიც, რაც საერთო სურათს არ ცვლის.

ის ფაქტი, რომ უნეტარესი ონოფრე სინოდალური გადაწყვეტილებით გაემიჯნა რუსეთის ეკლესიას და გარკვეული ნაბიჯებიც გადადგა მოლაპარაკებებისათვის, უაღრესად მნიშვნელოვანია.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ ეკლესიის მხრიდან ამა თუ იმ საეკლესიო საკითხისადმი ერთგულება საუკუნეების განმავლობაში აღიარებული სულიერი ცხოვრების წესის დაცვით არის განპირობებული და სულაც არ ნიშნავს სხვა ეკლესიის უპირობოდ მორჩილებას.

დღეს არსებული მდგომარეობით, მიტროპოლიტ ონოფრეს ჩამოერთვა კიევ-პეჩორის ლავრა, პრობლემებია მის იურისდიქციაში არსებულ სხვა ეკლესია-მონასტრებთან დაკავშირებითაც. ფაქტია, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია მრავალი მხრიდან ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

თქვენო ყოვლადუწმინდესობავ, ყველას ახსოვს სამშვიდობო მისიით გადადგმული თქვენი არაერთი ნაბიჯი და ამიტომაც ვფიქრობთ, იქნებ შეძლოთ, აქაც ხელი შეუწყოთ დაძაბულობის განმუხტვას, რაც, ჩვენი აზრით, პირველ ეტაპზე გულისხმობს მშვიდობიანი თანაცხოვრების პირობების შექმნას, შემდგომ კი, – ურთიერთდაახლოებისკენ მშვიდობიან სვლას.

მართლმადიდებელი სამყარო დღეს არაერთი სერიოზული გამოწვევის წინაშეა და ამ ფონზე ყოველი სასიკეთო ნაბიჯი დიდად ფასეული იქნება.

წერილი წმ. პავლე მოციქულის სიტყვებით მინდა დავასრულო: ,,ისწრაფდით დამარხვად ერთობისა მის სულისასა საკვრელითა მით მშვიდობისაითა“. (ეფ.4.3)

ღმერთმა მშვიდობა მიჰფინოს უკრაინას და მთელ მსოფლიოს.

ქრისტესმიერი სიყვარულითა და პატივისცემით,



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,
მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი,
ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი



# შთამომავლობამ უნდა იცოდეს – „ვინ არის ვინ!“

ხვალ 14 აპრილია, დედა ენის დღე...

ბევრი რამ მაქვს მოსაგონარი. თუნდაც იმ მღელვარე დღის პერიპეტიები... როგორ დაიწყო... როგორ გაგრძელდა... რით დამთავრდა...

მოვა ამის დროც. ახლა კი, ერთი საინტერესო (ჩემი აზრით) ფაქტი. ნაწყვეტი ადრინდელი პუბლიკაციიდან!

„...ბარემ, მეორე ისტორიასაც გავიხსენებ, უკვე საზოგადოს, სახელმწიფო და ეროვნულ აზროვნებასთან დაკავშირებულს...

„დედა ენის“ 100 წლისთავისთვის მზადების ბოლო დღეებია. „ჩრდილოეთში“ რომ ნაკლებად გაღიზიანდნენ, ამ იუბილეს უწყებრივი მასშტაბები მიეცა და განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი სამმართველოს მეთაურობით კეთდება... გამოიცა ძველი „დედა ენა“, „ბუნების კარი“, გოგებაშვილის სხვა ნაღვაწი... მოწესრიგდა მუზეუმი, პოეტური კრებული. რეზო ლაღიძემ წინა დღით ღამე გაათენა და ფანტასტური სიმღერა შექმნა...

ბოლოსწინა საღამოა, თემურ ჟღენტის „შავი მუშების“ ბრიგადასთან ერთად გავდივართ ყველა დეტალს კიდევ ერთხელ. ჩვენთან ერთად არის ასაკოვანი ბატონი უშანგი ობოლაძე, მინისტრის პირველი მოადგილე, ლეგენდა კაცი, ცოცხალი ენციკლოპედია... ვიღებ ერთ საგაზეთო ამონაჭერს და ვუკითხავ დამსწრეებს: სადღაც, რუსეთის რომელიღაც ქალაქში, ძაღლისთვის ძეგლი დაუდგამთ – პატრონის ერთგულებისთვის. ხმამაღლა ვამბობ: „აგერ ძაღლს დაუდგეს ძეგლი და... ჩვენ ვინ რა უნდა გვითხრას, თუ კი...“ აქ აზრი გავწყვიტე, ეშმაკურად ვეკითხები ბატონ უშანგის: „სადმე თუ არსებობს ძეგლი მშობლიური ენის პატივსაცემად?“



ობოლაძე, რომელიც ჩვენ გუნდს სიყვარულით „შავი პოლკოვნიკების ხუნტას“ ეძახდა, ადგა და... მეტი აღარაფერი თქვათ, ახლავე ცეკას სახელზე ბარათს დავწერო... ორ საათში ბარათი მზად არის: დასაბუთება 5 გვერდზე! გრძელია, უნდა შევამოკლოთ-მეთქი... არაო, ეს ისეთი საკითხია, სერიოზული დასაბუთება ჭირდებაო...

ჩვენს უფროს მეგობართან კამათს აზრი არ აქვს. ამიტომ მადლობით ვშორდებით და... ვურეკავ ელგუჯა ამაშუკელს, ჩვენს დიდ მოქანდაკეს: ვეკითხები, როგორ არის საქმე? პასუხი ისეთია, რომ ტელეფონიც კი გაწითლდა ჩემი მადლობებით. მაშინ უკვე ყველა მიხვდა, რომ იდეა ახლა კი არ დაბადებულა, არამედ იმდენად დაღვინებულია, რომ უკვე ესკიზებიც კი დამუშავებულია... „გავარდით“ მე და თემურ ჟღენტი ბატონ ელგუჯასთან. ლია სტურუა, ელგუჯას მეუღლე, ჩვენი ცნობილი პოეტი, აღტაცებით მეუბნება, რომ ელგუჯამაც ღამე გაათენა და რამდენიმე ესკიზი მზად არის...

დადგა საიუბილეო დღე. დილით შევარდნაძესთან ვიზიტი. ცეკას მდივანი ვიქტორია სირაძე ეუბნება, რომ მასშტაბები გრანდიოზულია, წყვეტაა მოსაწვევებზე, ვაჩვენებ საიუბილეოდ გამოშვებულ წიგნებს, სხვა „პროდუქციას“... ვუყვები, რა მოხდება ფილარმონიის სცენაზე... აშკარად კმაყოფილია... და მისთვის სიურპრიზი: ვაწვდი უშანგი ობოლაძის მიერ მომზადებულ 5-გვერდიან წერილს და მეორე ვარიანტს: ერთ გვერდზე დაყვანილ „დასაბუთებას“... მისთვის ეს იდეა მოულოდნელია. დაფიქრდა...ვსარგებლობ პაუზით და ვაწვდი ესკიზებს. აშკარად მოეწონა. ვამატებ: ელგუჯა ამაშუკელს მიაჩნია, რომ სანაპიროზე რომ ბაღია, იქ იქნება ძეგლისთვის შესაფერისი ადგილიო... თანაც, ადგილი სიმბოლურია, ქართულ თემასთან პირდაპირ კავშირში გახლავთ-თქო...

პირველი შეკითხვა: ვინ იცის ამის შესახებო...

პასუხი: მინისტრმა ოთარ ქინქლაძემ, ობოლაძემ, ჟღენტმა, ქალბატონმა ვიქტორიამ და თქვენ...

მოულოდნელი ფრაზა: ამ იდეის შესახებ მეტი არავინ არ უნდა იცოდეს... და დაამატა: ხელს შეგვიშლიანო!

ახლაც მახსოვს ინტონაცია: ხელს შეგვიშლიანო!!!

ვეუბნები, რომ „საიდუმლოს“ უკეთ შევინახავთ, თუ კონკურსს არ გამოვაცხადებთ და... შემაწყვეტინა: არავითარი ოფიციალური გაფორმება დაკვეთის არ გვინდა. უხმაუროდ და ჩუმად გააკეთეთ ეს საქმეო... შრომატევადი იქნება ეს წამოწყება, ხარჯებიც დაჭირდება, ადგილს კეთილმოწყობა... მარტო თქვენ ამას ვერ გაწვდებითო... აიღო ყურმილი და დაუკავშირდა, თენგიზ მენთეშაშვილს. გაუზიარა თავის შთაბეჭდილებები, მათ შორის, „საიდუმლოების“ თაობაზე და შესთავაზა: მოდი, შენ ჩაუდექი სათავეში ამ იდეის განხორციელებას და ქალაქმა ყველა საკითხი მოაგვაროსო. შევარდნაძემ „გურული ეშმაკობა“ მოიშველია: განათლების სამინისტრო დაბეჯითებით ითხოვს შენს ჩართვას ამ საქმეშიო...

მივდივარ თენგიზთან, მივუტანე ესკიზები. მასაც ძალიან მოეწონა. და ძალიან გულწრფელად თქვა: ამაზე დიდ და კარგ საქმეს ჩვენ ვერასოდეს გავაკეთებთო...

იდეის განხორციელებას დრო დაჭირდა. საქმე წინ მიდიოდა... 14 აპრილის მოვლენების დროსაც კი არ გახმაურებულა არაფერი.

ყველაფერი გააკეთა თენგიზ მენთეშაშვილმა თავის გუნდთან ერთად... გურამ გაგუნია, ნელი გურგენიძე, ზაურ მესხიშვილი,ჯემალ კუხალაშვილი, ნიკო ლეკიშვილი... ყველამ დადო თითო აგური ელგუჯა ამაშუკელის ამ შედევრის გაცოცხლებაზე. და დადგა დღე, როცა ბევრისთვის სრულიად მოულოდნელად თბილისი დაამშვენა „დედა ენის“ ძეგლმა.



**ნუგზარ ფოფხაძე**

**P.S.** მორიგ ნომერში წაიკითხავთ – „ჰიმნი დედაენას“ იყო რეზო ლაღიძის მიერ შექმნილი ბოლო სიმღერა.

# აღიარებს ამერიკა შეცდომას?!

## ირაკლი ღარიბაშვილი:

## მე, როგორც მთავრობის მეთაური, გავაკეთებ მაქსიმუმს, რომ სასამართლო იყოს დაცული ნებისმიერი ჩარევისგან!

**მე, როგორც მთავრობის მეთაური და მმართველი პარტიის წარმომადგენელი, სრულ მხარდაჭერას ვუცხადებ ყველა მოსამართლეს, სასამართლო ჩვენი მმართველობის დროს გახდა დამოუკიდებელი და თავისუფალი როგორც შიდა, ასევე სხვა ქვეყნების მხრიდან ჩარევებისგან,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებთან შეხვედრის შემდეგ, უზენაეს სასამართლოში, ჟურნალისტების კითხვის საპასუხოდ განაცხადა. როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, სუვერენული ქვეყნის სუვერენულ სასამართლოში ნებისმიერი ქვეყნის ჩარევა მიუღებელია.

**„მე ასევე მინდა შევახსენო ჩვენს საზოგადოებას, პარტნიორებს და ყველას, რომ ჩვენ ბოლო 10 წლის განმავლობაში, ჩვენს მიერ გატარებული რეფორმების შედეგად, აბსოლუტურად, როგორც იტყვიან, დღესავით ნათელი გახდა ის ახალი რეალობა, რომელიც შეიქმნა. როგორც დღე და ღამე განსხვავდება, ასეთი ჩავიბარეთ ჩვენ სასამართლო 2012 წელს. სასამართლო, რომელიც იყო, მე ბოდიში მინდა მოვიხადო ამ სიტყვის გამოყენებისთვის, მაგრამ რეალურად ჩვენ კარგად ვიცით, რომ ეს იყო მართული ერთი ადამიანის მიერ, კერძოდ, ყოფილი პრეზიდენტის, სააკაშვილის და იუსტიციის მინისტრის, ადეიშვილის მიერ, რომელიც ამავდროულად იყო მთავარი პროკურორი და ამავდროულად იყო სასამართლოსთვის ინსტრუქციის მიმცემი. სასამართლო იმ დროს იყო რეალური პროკურატურის დანაყოფი.**

**ჩვენ ეს რეალობა დავასრულეთ, როცა მოძალადე რეჟიმს ქართველმა ხალხმა უთხრა უარი და ჩვენ სასამართლოს ვუთხარით, რომ იმ დღეს, როცა გახდა „ქართული ოცნება“ ქვეყნის მმართველი, სასამართლოც გახდა თავისუფალი და დამოუკიდებელი. მე ასევე მახსოვს ჩვენი საუბრები ჩვენს უცხოელ პარტნიორებთან, კოლეგებთან. მათი რეკომენდაცია იყო, რომ მოსამართლეების მიმართ ჩვენ აბსოლუტურად არავითარი ზომები არ უნდა მიგვეღო და ჩვენ, რა თქმა უნდა, არც არაფერი გაგვიკეთებია, პირიქით, ჩვენ მოსვლის დღიდან მაქსიმალური მხარდაჭერა აღმოვუჩინეთ ჩვენს მოსამართლეებს, სასამართლოს. ასევე მინდა შეგახსენოთ ისიც, რომ ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაცია იყო არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე საელჩოების, რომ მომხდარიყო მოსამართლეების დანიშვნა უვადოდ, რაც ასევე ჩვენმა მთავრობამ გააკეთა. 4 ტალღის რეფორმების შედეგი არის ის, რომ დღეს სასამართლო არის ერთ-ერთი სამაგალითო მთელს ევროკავშირში.ამას ადასტურებს იგივე, რამდენიმე დღის წინ ჩატარებული კვლევები. მოქალაქეების ნდობა სასამართლოს მიმართ არის ძალიან გაზრდილი.**



**საერთო საშუალო ევროპულ მაჩვენებელზე უფრო მაღალია ნდობა ჩვენი სასამართლოს მიმართ, ჩვენი მოქალაქეების მხრიდან. კიდევ ერთ მთავარ ინდიკატორს მოვიშველიებდი იმის სადემონსტრაციოდ, რომ რეალურად ჩვენი მოქალაქეები სამართალს პოულობენ საქართველოში. ამის მაჩვენებელია ის სტატისტიკა, რომელიც მინდა ახლა მოვიყვანო მაგალითისთვის. 2012 წლამდე სტრასბურგში გაგზავნილი საქმეების რაოდენობა იყო რეკორდული. 4000-5000 საქმე იგზავნებოდა სტრასბურგში. რატომ, მეგობრებო?! იმიტომ, რომ ჩვენი მოქალაქეები აქ ადგილზე სამართალს ვერ პოულობდნენ. ეს მარტივი ჭეშმარიტებაა. წელს სტრასბურგში გაგზავნილ იქნა მხოლოდ 150 საქმე. ამხელა განსხვავება, ამხელა პროგრესი. ეს ნიშნავს კიდევ ერთხელ და ადასტურებს იმას, რომ ნდობა სასამართლოს მიმართ არის აბსოლუტურად გაზრდილი და მოქალაქეები პოულობენ სამართალს ქვეყანაში.**

## ნინო ქადაგიძე:

## „შეცდომის აღიარება არის ძლიერის თვისება!“

### ვიმედოვნებ, აშშ-ის შესაბამისი უწყებების მხრიდან ეს საკითხი გადაიხედება!

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და ამავდროულად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ნინო ქადაგიძე ელის, რომ აშშ ქართველ მოსამართლეებს სავიზო შეზღუდვებს მოუხსნის.** მან საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შემდეგ აშშ-ის გადაწყვეტილებას „შეცდომა“ უწოდა.

**„ჩვენს პარტნიორებთან და მეგობრებთან ყოველთვის ვინარჩუნებდი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას, ყოველთვის ვიყავი ფრთხილი და მოზომილი. მე ვთვლი, რომ დადგა ის მომენტი, როცა ვითხოვ უკუგებას მათგან. შეცდომა შეიძლება, ყველას მოუვიდეს, არავინ არის დაზღვეული, თუმცა ვთვლი აქვე, რომ შეცდომის აღიარება არის ძლიერის თვისება და აქედან გამომდინარე მე ვიტოვებ ძალიან დიდ იმედს, რომ შესაბამისი უწყებების მხრიდან ეს საკითხი გადაიხედება“,** – განაცხადა მან. ნინო ქადაგიძე მხარდაჭერას უცხადებს მოსამართლეებს, რომელთაც აშშ-მა სავიზო შეზღუდვები დაუწესა.

**„სასამართლო წლების განმავლობაში იდგა არაერთი გამოწვევის წინაშე, მაგრამ ხმამაღლა მინდა ვთქვა, არც ერთხელ, არცერთ ეტაპზე ისეთი რეალური, ნამდვილი, ხელშესახები მიღება არ ყოფილა, როგორც იყო კორუფციისგან თავისუფალი სასამართლო სისტემა. მე ვერ მივიღებ ვერცერთ განცხადებას სასამართლოში კორუფციის არსებობის შესახებ... მე მათ ვუცხადებ სრულ თანადგომას. მე როგორც უზენაესი სასამართლოს და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვიქნები მათ და თითოეული მოსამართლის ხელშეუხებლობის გარანტორი“,** – თქვა უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ.




# ვინც გაფრთხილებულია, ის მზად უნდა იყოს!..

**ოთხ ქართველ მოსამართლეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სანქციები დაუწესა, რაც საქართველოს შიდა საქმეებში, მორიდებას მოკლებული, მე ვიტყოდი, თავხედური ჩარევაა. მოსამართლეებს ბრალს სდებენ კორუფციაში, თუმცა ამის არანაირი დამადასტურებელი საბუთი წარმოდგენილი არ არის, ყველა ბრალდება კი ხელისუფლების ოპოზიციის უსაფუძვლო ბრალდებებსა და, როგორც ჩანს, თბილისში ამერიკის ელჩის ნეგატიურ შეფასებებზეა აგებული. საქართველოს ყველა მიუკერძოებელ მოქალაქეს უჩნდება სავსებით სამართლიანი შეკითხვა: უდანაშაულოგის პრეზუმფცია სადღაა, ბატონებო?!**

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის გადაწყვეტილებებს, ქვეყნის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი აწერს ხელს. მაგრამ, აღნიშნული დოკუმენტი ამ მაღალჩინოსანს აქვს კი წაკითხული? ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს არც არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა: ყმებმა ბატონს ხელმოსაწერად ქაღალდი მიუტანეს, იმანაც დაუხედავად ხელი მოაწერა.

შეგახსენებთ, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა სანქციები ოთხ ქართველ მოსამართლეს – მიხეილ ჩინჩალაძეს, ლევან მურუსიძეს, ირაკლი შენგელიასა და ვალერიან ცერცვაძეს – დაუწესა. ოფიციალური განცხადებით, ქვეყანამ ზემოდასახელებულ მოსამართლეებს სავიზო სანქციები დაუწესა, რომლითაც ვიზაზე უარის თქმის საფუძველს პირის მნიშვნელოვანი კორუფციული საქმიანობა წარმოადგენს, სანქცია ითვალისწინებს აღნიშნული პირებისა და მათი უახლოესი ნათესავების ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვას. ბატონ ბლინკენის განცხადებით, ამ პირებმა ბოროტად გამოიყენეს სასამართლოთა თავმჯდომარეებისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის სამსახურებრივი თანამდებობები, რითაც ძირს უთხრიან კანონის უზენაესობასა და საქართველოს სასამართლო სისტემის ნდობას.

**ცხადია, რომ არავის არ ეპარება ეჭვი იმაში, რომ მოსამართლეთა საწინააღმდეგო სანქციების ინიციატორია საქართველოში აშშ-ს ამჟამინდელი ელჩი, ქალბატონი კელი დეგნანი. საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში, თბილისში ამერიკის საელჩოს სათავეში სხვადასხვა „წონოსანი“ დიპლომატები ედგნენ, მაგრამ მათგან არც ერთი არ მოქმედებდა ისე ჯიქურ და მოურიდებლად, როგორც ქალბატონი დეგნანი, რომელიც გამუდმებით აშკარად ერევა ქვეყნის ხელისუფლების საქმეებში. საქართველოში ამერიკის ელჩის თანამდებობაზე ქალბატონ დეგნანის ყოფნის ვადა მალე იწურება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ვაშინგტონში მიღებული ანტიმოსამართლური დოკუმენტი – ესაა ქალბატონ დეგნანის ერთგვარი „გამოსათხოვარი“, რომლის ადრესატია საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება. ქალბატონ დეგნანის მტკიცებით, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა „სარწმუნო და შეთანხმებული ინფორმაციის საფუძველზე დაადგინა, რომ აღნიშნული პირები, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გზით, ჩართულნი არიან მნიშვნელოვან კორუფციულ საქმიანობაში“.**

როგორც ხედავთ, მოსამართლეთა კორუფციული მოღვაწეობის შესახებ ინფორმაცია, ქალბატონ დეგნანს „სარწმუნოდ და შეთანხმებულად“ მიაჩნია, თუმცა კი არც ერთი სიტყვით არ განმარტავს, თუ რა დანაშაული ჩაიდინეს სანქციებში მოყოლილმა პირებმა.

ბუნებრივია, რომ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებამ ქართული ოპოზიციის რიგებში დიდი სიხარული გამოიწვია: „აშშ და ევროკავშირი გვერდში გვიდგანან“ – ლამის ცეკვავს „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი გიორგი ვაშაძე, რომელიც „ივანიშვილის ყელში ამოსულ რეჟიმზე“ საბოლოო გამარჯვებას წინასწარმეტყველებს.

პარტია „ლელოს“ ლიდერი მამუკა ხაზარაძის თქმით, აშშ-ს სანქციები – ესაა არა მხოლოდ მოსამართლეებისა და საქართველოს მთავრობისადმი გამოტანილი „განაჩენი“, არამედ ბიძინა ივანიშვილისთვის გაგზავნილი პირდაპირი ნიშანი იმისა, რომ ვაშინგტონმა და დასავლეთმა საბოლოოდ დაკარგეს ნდობა „ქართული ოცნების“ მიმართ.

სახელმწიფო დეპარტამენტის გადაწყვეტილებას კიევში ოვაციებით შეხვდნენ. **„კორუფციის გამო, სანქციებში პირველად მოყვა ოთხი ქართველი მოსამართლე. ჩემი აზრით, ესაა უკანასკნელი გაფრთხილება ბიძინა ივანიშვილისთვის, რომელიც ქართული ხელისუფლების კონტროლით ყველა წითელ ხაზს გადადის. ჩვენ არაერთგზის გაგვიფრთხილებია, რომ ყოველივე ცუდად დამთავრდებოდა, თუმცა ყური არავინ არ გვათხოვა. რას ვიზამთ, იმედია ახლა მაინც შეიგნებენ. მინდა შეგახსენოთ, რომ ჩვენ გადავეცით ივანიშვილის უახლოესი ბიზნეს-გარემოცვის თაობაზე ინფორმაცია, რომელიც თავისი სტრუქტურების მეშვეობით, რუსეთელებს სანქციების გვერდის ავლაში ეხმარება. ვფიქრობ, რომ ახალ ამბებს უახლოეს მომავალში შევიტყობთ, ამ მიმართულებითაც“,** – წერს „ტელეგრამ-კანალში“ უკრაინის რადაში ფრაქცია „სლუგა ნაროდას“ ლიდერი დავით არახამია.

# ლონდონში 18-მილიონიანი სახლის ფული ვინ მოგბაშავა, კეზერაშვილო?!



## „მილიარდიანი თაღლითები, რომლებიც მთელ დანაზოგს მოგპარავენ“ –

### BBC დავით კეზერაშვილის თაღლითურ სქემებზე

**„მილიარდიანი თაღლითები, რომლებიც მთელ დანაზოგს მოგპარავენ“** – ამ სათაურით BBC დავით კეზერაშვილის შესახებ საგამოძიებო სიუჟეტს აქვეყნებს. საერთაშორისო მედიამ ჯგუფ მილტონის კომპანიებთან კეზერაშვილის კავშირები დაადგინა.

**BBC-ის ცნობით, პიგერთაღლითების გლოგალურმა ქსელმა ინვესტორები გაძარცვა, ზარალი კი მილიარდ დოლარს აღწევს.**

ჟურნალისტური გამოძიების მიხედვით, თავდაპირველად თაღლითები ტელეფონით უკავშირდებოდნენ მოქალაქეებს და შემოსავლების იოლად მიღების გზებს სთავაზობდნენ, საბოლოო ჯამში კი, მათ საკრედიტო ბარათების მონაცემებს ართმევდნენ და ძარცვავდნენ. BBC-ის ცნობით, თაღლითურ სქემაში ფიგურირებს 125 კომპანია, მათ შორის საქართველოში მოქმედი კრიპტოვალუტით მოვაჭრე ფირმა „სოლო ქეფითალსი“.

როგორც BBC წერს, თაღლითების საერთაშორისო ქსელის გაშიფვრაზე ჟურნალისტები ერთი წელი მუშაობდნენ. მათივე ინფორმაციით, ეს ქსელი პოლიციისთვის ცნობილია „მილტონის ჯგუფის“ სახელწოდებით. ნოემბერში BBC-ის გადამღები ჯგუფი თან ახლდა გერმანელ და ქართველ სამართალდამცველებს, რომლებმაც თბილისში სატელეფონო ცენტრებში ჩხრეკა ჩაატარეს.

ტელეკომპანიის ცნობით, საჯაროდ ხელმისაწვდომი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ „მილტონის ჯგუფთან“ და მასთან დაკავშირებულ კომპანიებთან ყველაზე ხშირად ხუთი ადამიანის სახელი ჩნდება. ესენია, **დავით თოდუა, რატი ჭელიძე, გურამ გოგეშვილი, ჯოზეფ მგელაძე და მაიკლ ბენიმინი.**

**BBC-მ აღნიშნული გვარები ე.წ. პანამის დოკუმენტებში გადაამოწმა და აღმოაჩინა, რომ მათგან გოგეშვილი, მგელაძე და მაიკლ ბენიმინი ოფშორულ კომპანიებში დირექტორებად ან მაღალი თანამდებობის პირებად მუშაობენ.** ამასთან, BBC წერს, რომ ყველა ეს კომპანია დაკავშირებულია საქართველოს მთავრობის ყოფილ მაღალჩინოსან, თავდაცვის ყოფილ მინისტრ დავით კეზერაშვილთან.

**BBC-ის ცნობით, კეზერაშვილი დაუსწრებლად არის გასამართლებული ბიუჯეტიდან 5 მილიონი დოლარის გახარჯვაში. სასამართლო ვერდიქტის გამოქვეყნების დროს, კეზერაშვილი ლონდონში ცხოვრობდა და დიდმა ბრიტანეთმა მისი საქართველოში ექსტრადირების მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.**

BBC-ის გამოძიების ცნობით, საჯაროდ არ მოიპოვება დოკუმენტები, რომლებიც კეზერაშვილისა და ოფშორული კომპანიების ქსელთან კავშირს დაადასტურებდა, თუმცა გამომძიებელი ჟურნალისტების ინფორმაციით, ე.წ. პანამის დოკუმენტებში მისი სახელი ფიგურირებს როგორც ზოგიერთი კომპანიის დამფუძნებელი ან აქციების საკონტროლო პაკეტის მფლობელი.

**BBC ვარაუდობს, რომ კეზერაშვილი ამ ქსელის ხელმძღვანელია.**

ამასთან, BBC ესაუბრა „მილტონის ჯგუფში“ შემავალი კომპანიების რამდენიმე ყოფილ თანამშრომელს და მათ დაადასტურეს, რომ პირადად ჰქონდათ საქმე კეზერაშვილთან და იცოდნენ, რომ ის ამ სქემაშია ჩართული. BBC-ის ცნობით, კეზერაშვილი სხვადასხვა სოციალურ ქსელში და მათ შორის „ლინკედინში“ საკუთარ გვერდზე ხშირად ავრცელებდა ინფორმაციას „მილტონის ჯგუფში“ შემავალ კომპანიებსა და იქ არსებული ვაკანსიების შესახებ.

BBC-მ ასევე მოიპოვა მტკიცებულება, რომ კეზერაშვილის მფლობელობაში არსებული კომპანიები იყენებდნენ ელექტრონული ფოსტის იმ კერძო სერვერს, რომელთან წვდომაც მხოლოდ თაღლითობაში ჩართულ „მილტონის ჯგუფის“ კომპანიებს ჰქონდათ. ასევე, BBC-ის ინფორმაციით, კეზერაშვილის ვენჩერული კაპიტალის კომპანია „ინფინითი“ ფლობდა ვებდომეინებს კომპანიებისთვის, რომლებიც სავაჭრო პლატფორმებს სთავაზობდნენ თაღლითებს.

BBC-ის ცნობით, კეზერაშვილი ფლობს კიევში საოფისე შენობას, რომელშიც განთავსებული იყო თაღლითური ქოლცენტრი „ევერ ეფიქსი“ და ტექნოლოგიური კომპანიები, რომლებიც პროგრამულ უზრუნველყოფას სთავაზობდნენ იმ ფირმებს, რომელთა ოფისებიც ნოემბერში პოლიციამ გაჩხრიკა. ის ასევე ფლობს ანალოგიურ ოფისებს თბილისშიც.

BBC-მ ასევე გადაამოწმა, იმ ოთხ პირის სოციალური ქსელები, რომლებიც გამოძიებაში ფიგურირებენ. ამ ქსელებში განთავსებული სხვადასხვა წვეულებისა თუ ქორწილების ფოტოებიდან ირკვევა, რომ თაღლითურ სქემაში ჩართულ ოთხივე პირს ახლო კავშირი აქვს კეზერაშვილთან. კეზერაშვილს „ფეისბუქზე“ 45 საერთო მეგობარი ჰყავს „მილტონის ჯგუფთან“ დაკავშირებულ პირებთან და BBC-მ დაადგინა, რომ თაღლითურ სქემაში ჩართული ერთ-ერთი პირი არის კეზერაშვილის ნათესავი.

BBC წერს, რომ კეზერაშვილისგან კომენტარის მიღების მიზნით, BBC-ის ჟურნალისტები მივიდნენ ლონდონში მდებარე მის სახლში, რომლის ღირებულებაც 18 მილიონი გირვანქა სტერლინგია. მან ადვოკატის საშუალებით უარყო თაღლითურ სქემასთან კავშირები...

როგორც ჩანს, ყმებმა, მათ შორის კიეველებმა, თავი აიგდეს.

სანქციებში მოყოლილ თემიდას მსახურთა პატივსაცემად უნდა ითქვას, რომ სანქციებში მოყოლის ამბავი მათ კაცურად მიიღეს. **„რას ვიზამთ, ცხოვრება გრძელდება“,** – ამბობს მოსამართლე ლევან მურუსიძე. მისი თქმით, მას ისეთი არაფერი ჩაუდენია, სანქციების დაწესების მიზეზი რომ გამხდარიყო. **„ვცხოვრობდი და ვცხოვრობ კაცურად, კორუფციაში გარეული არა ვარ, ისეთ გადაწყვეტილებებს ვიღებდი, რომლებიც სწორად და კანონიერად მიმაჩნდა. მეუბნებიან, რომ ამიერიდან აშშ-ში აღარ შეგვიშვებენ. ჰოდა, რაღა უნდა ვქნათ ახლა – რაცაა ეგაა. არც პაპაჩემი დადიოდა იქ და არა უშავს რა – გადავიტანთ როგორმე...“** – განუცხადა „მთავარ არხს“ მოსამართლემ.

შექმნილ ვითარებას ოპერატიულად, რომ იტყვიან, ცხელ კვალზე გამოეხმაურა ქართული ხელისუფლება, **„ჩვენი სახელმწიფოს სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას ყველა მიმართულებით დავიცავთ, ესაა ჩვენი მტკიცე პოზიცია“,** – განაცხადა ირაკლი კობახიძემ პროგრამა „იმედი LIVE“-სთან მიცემულ ინტერვიუში. ვაშინგტონში მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე, „ქართული ოცნების“ ლიდერმა, კერძოდ თქვა:

> **„არანაირი მტკიცებულება წარმოდგენილი არ არის. რას გვიმალავენ? ჩადენილია დანაშაული და ამის შესახებ არაფერს გვეუბნებიან? ან რას გვიმალავენ? ეს ხომ არასერიოზულია! თუკი ჩადენილია დანაშაული და თქვენ ამის შესახებ იცით, პირველი ინტერესი იმის თაობაზე, მეორე მხარისთვის შეტყობინება, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, საზოგადოებრიობის ინფორმირება უნდა იყოს. რატომ არ უნდა ითქვას ამის შესახებ, თუკი მტკიცებულებები არსებობს? სადაა აქ ლოგიკა? ცხადია, რომ ლოგიკა აქ არ არის, არის მხოლოდ პოლიტიკური ინტერესი, რომლის არსია დამოუკიდებელი სასამართლოს საქმიანობაში ჩარევა“.**

**თუმცა, იბადება კითხვა: რატომაა სანქციების შესახებ გადაწყვეტილება ასე მოულოდნელი და მაინცდამაინც ახლა? თუკი საქმეს ჩავუღრმავდებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ესაა ქალბატონ დეგანისა და სნ-სთვის სააღდგომო ძღვენი.**

**ტყუილად ხომ არ იხარჯება უკვე მოხსენიებული გიორგი ვაშაძე: „კიდევ ერთხელ ვიმეორებ: „ქართული ოცნების“ გემი უკვე ჩაიძირა, მოვუწოდებ მისი გუნდის ყველა წევრს დატოვონ, გემგანი! ეს იყო აშშ-ს მთავარი გზავნილი თბილისში 7-9 მარტს რუსთაველის პროსპექტზე გამართული მრავალათასიანი მიტინგისა.“**

**„მაგრამ, ეს ხომ ამბოხის დაუფარავი წაქეზებაა?! მაშ როგორაა ასეთი რამ შესაძლებელი?“ – გაიკვირვებს მკითხველი.**

**რას ვიზამთ, როგორც ხედავთ, შესაძლებელია. თუმცა, თავს მაინც ნუ მოვიტყუებთ: ვინც გაფრთხილებულია, ის მზად უნდა იყოს!**



**ვადიმ ანასტასიადი,**
**გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ მთავარი რედაქტორი.**

## კეზერაშვილის მიერ პოლიტიკაში, არასამთავრობო სექტორსა და მედიაში დახარჯული ფული მოპარულია ჯარისა და ევროპელი პენსიონერებისგან



**„კიდევ ერთხელ მტკიცდება, რასთან გვაქვს საქმე. სამწუხაროდ, კეზერაშვილს იფარებს ევროპა, ვხედავთ ჩვენ, რომ იქიდან გეგმავს არეულობას ქვეყანაში. ვხედავთ, თავადვე აღიარებს, რომ აფინანსებს პოლიტიკურ პარტიებს, მედიებს, არასამთავრობო სექტორს, პირდაპირ ჩართულია ადამიანი, რომელმაც ჯერ ჯარს მოპარა 5 მილიონი, შემდეგ ევროპელი პენსიონერები თაღლითური სქემით გაძარცვა და ეს ადამიანი პირდაპირ ჩართულია ქართულ პოლიტიკაში, მედიაში, არასამთავრობო სექტორში ფინანსებით. ამაზე ვსაუბრობთ ჩვენ და სამწუხაროა, რომ ხდება იმავე შეცდომის გამეორება, რაც იყო მიხეილ სააკაშვილთან დაშვებული, როდესაც ის შეფარებული იყო ევროპის ქვეყნებში და იქიდან ურევდა აქ სიტუაციას. ახლა დავით კეზერაშვილია შეფარებული ევროპულ ქვეყნებს და იქიდან ურევს სიტუაციას საქართველოში“,** – განაცხადა შალვა პაპუაშვილმა. მისივე თქმით, იმედია, ევროპელი ქვეყნები ამ საკითხს სერიოზულად შეხედავენ და დავით კეზერაშვილი გადმოეცემა საქართველოს, რათა მოიხადოს სასჯელი იმ დანაშაულისთვის, რომელიც ჩაიდინა.

## „კეზერას“ ფული ევროინტეგრაციას ემსახურება, ევროპარლამენტი კი კეზერაშვილს უზიწო მედიამფლობელად მიიჩნევს!



**„ეს რა აჯახა BBC-მ ამ „კრისტალურად ბინძურ“ ადამიანს, ყველას და ყველაფრის დაფინანსება რომ უნდა საქართველოში თავისი ბინძური ფულით,“** – ასე ეხმაურება ანალიტიკოსი ზაალ ანჯაფარიძე, საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის, დავით კეზერაშვილის შესახებ BBC-ის მიერ მომზადებულ საგამოძიებო რეპორტაჟს. როგორც ანჯაფარიძე სოციალურ ქსელში წერს, მათ, ვისაც კეზერაშვილი აფინანსებს, უხერხულობა უნდა შეექმნათ მას შემდეგ, რაც BBC-მ თაღლითური ქსელის უკან მდგარი ბიზნესმენები გამოავლინა, რომელთა შორის, ერთ-ერთი სწორედ დავით კეზერაშვილია.

**P.S.** ქართული მხარის მოთხოვნაზე, ამერიკის შეერთებულ შტატებს წარმოედგინათ თუნდაც რაიმე მტკიცებულება სანქციების ქვეშ მოყოლილი ოთხი მოსამართლისა, ვაშინგტონიდან ასეთი პასუხი მოვიდა: „ჩვენ დამნაშავეები დაგისახელეთ, მტკიცებულებები კი თავად ეძებეთ!“

**ვ. ა.**

# სახელმწიფო ენა ქვეყნის სუვერენიტეტის ჯაჭვი და ჯავშანია

**ავთანდილ არაბული**



## სათქმელი მაშინ, როცა შეიძლება ჭირი მარგებელი იყოს

(პირველი გვერდიდან) სახელმწიფოებრიობის ყველა სხვა ნიშანი ნაკლები წინააღმდეგობით ადაპტირდება გლობალიზაციის თანამედროვე მოთხოვნებთან. მაგრამ ერთგვარი პარადოქსია, რომ **თანამედროვე სახელმწიფოს წარმატებაც და წარუმატებლობაც გლობალიზაციის ასპარეზზე უპირობო გამოწვევად ხვდება სახელმწიფო ენის განვითარებას**.

სახელმწიფოს განვითარება, მრავალმხრივი წინააღმდეგობების მიუხედავად, ღვთის მადლით, წინ მიიწევს. ქართველმა ხალხმა, უკვე თერთმეტი წელია, პოლიტიკურ მოუსავლეთში გაისტუმრა გლობალიზაციის უპირობო მსახური ძალები, რომელთაც მძიმე დარტყმა მიაყენა ყველა მნიშვნელოვან ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ფასეულობას, მათ შორის, განსაკუთრებით სახელმწიფო ენას. საზოგადოებისავე ძალისხმევით, ბოლო პერიოდში ფორმალურად (სამართლებრივ-ინსტიტუციური ასპექტით) ასევე სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა სახელმწიფო ენის უფლებათა დასაცავად; მაგრამ აქვე აუცილებელია ისიც ითქვას, რომ სახელმწიფო (მმართველი) სისტემის პოზიცია სახელმწიფო ენის მიმართ არსებითად არ შეცვლილა.

მიზეზი ამისა უფრო ღრმაა და ის იმავე პოლიტიკურ დინებებს უკავშირდება, რისი ნაწილიც უკვე თვალსაჩინოდ გააშიშვლა „ხალხის ხმამ".
















**არადა, წმინდა ენობრივი გამოხატულებით, რა მარტივია სახელმწიფოს სამართლიანი მართვა:**

**პრეზიდენტი კონსტიტუციურ მოთხოვნათა რეალიზების გარანტი უნდა იყოს.**

**პარლამენტმა, ანუ საკანონმდებლო ორგანომ კანონმდებლობა უნდა შექმნას.**

**აღმასრულებელმა ხელისუფლებამ კონსტიტუცია და კანონები უნდა აღასრულოს.**

**მთავრობამ ქვეყნის „მთავრობა" უნდა აღასრულოს.**

**სამართალდამცავმა სისტემამ სამართალი უნდა დაიცვას.**

**სასამართლო სამართლიანი უნდა იყოს.**

**უსაფრთხოებამ უსაფრთხოების განცდა უნდა შექმნას.**

**განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო განათლებასა და მეცნიერებას უნდა ემსახუროს.**

**სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა სახელმწიფო ენა უნდა დაიცვას...**

მართლაც რა ნათელია სახელმწიფოებრიობის რეალური ორიენტირები და რაოდენ რთული ამოცანა ჩანს, როდესაც კონკრეტულ სინამდვილეში მათს აღსრულებაზე მიდგება საქმე.

რაც მთავარია, **ყველა** დასახელებულ **ინსტიტუციას** (და ზოგ სხვასაც) **თავისი ფასეული წვლილის შეტანა შეუძლია სახელმწიფო ენის სამსახურში**, მაგრამ უმეტესობა ამ მოვალეობას **ან უგულებელყოფს, ანაც ვერ ართმევს თავს**.

ერთიც სახელმწიფოებრივი დანაშაულია და მეორეც!

ერთი წლის წინ პირდაპირ მოგვიწია ამის თქმა: **როცა სახელმწიფო უწყება ლახავს კონსტიტუციისა და კანონის მოთხოვნებს**, სხვას – კერძო სტრუქტურებს, ყველაფერი ეროვნულის მოწინააღმდეგე ოპოზიციასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს – რა პასუხი უნდა მოსთხოვო?!

**საქართველოს პრეზიდენტი პირველი თვალსაჩინო დამრღვევია სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსისა; თანაც ამას თითქოს განგებ და დემონსტრაციულად აკეთებს.**

არ მინდა ვინმემ თავის დაზღვევად თუ თავის მართლებად ჩამომართვას ამჟამინდელი კრიტიკული პოზიცია. დიახ, პრეზიდენტის არჩევნების დროს მეც მქონდა „მგზნებარე" პუბლიკაცია სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურის დასაცავად. იმ პოლიტიკურ კონტექსტში იმგვარ შეფასებას ალბათ არც ახლა გადავუხვევდი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დღეს თვალი მოვუხუჭო, სხვას რომ თავი დავანებოთ, მის აგდებულ დამოკიდებულებას სახელმწიფო ენის მიმართ.

შეგახსენებთ: 2014 წელს, სახელმწიფო ენის კანონპროექტის დაძაბული განხილვების დროს, რამდენჯერმე მოვიხმე მეზობელი სომხეთის მაგალითი, რომელმაც ანალოგიური კანონი ბევრად ადრე მიიღო და დარღვევებისთვის საკმაოდ მკაცრი ჯარიმებიც დააწესა. აღნიშნულ ეტაპზე ძალზე ხმაურიანად გამოდიოდა სომხეთის სახელმწიფო ენის „პოლიციის" ხელმძღვანელი და კანონის საფუძველზე მოითხოვდა საგარეო საქმეთა მინისტრის დაჯარიმებას, რაკი მან რუსულ ენაზე წარმართა შეხვედრა ვიზიტად მყოფ ლავროვთან; ამ ფონზე იგი ღიად ლაპარაკობდა რუსული ენის ექსპანსიაზე და მისთ. აბა, წარმოიდგინეთ ამ პოზიციის სწორად შესაფასებლად სომხეთის მაშინდელი პოლიტიკური ურთიერთობა რუსეთთან...

„მე ყველასი პრეზიდენტი ვარ..." – თქვა გამარჯვებისთანავე ქალბატონმა პრეზიდენტმა და ისე მოეწონა ეს ჩიქორთული ფორმულა (რომელიც თავის ქვეტექსტად გულისხმობდა – „ჩემი მაგინებლებისაცო"), რომ ლამის ყოველდღიურად იმეორებდა... იმის ნაცვლად, რომ ეთქვა: „მე სრულიად საქართველოს პრეზიდენტი ვარ!" (როგორც აღმოჩნდა, არც ჰქონია მას ამისი თქმის სურვილი!).

მწარე სიმართლეა, მაგრამ ეს მაგალითი კარგად აჩვენებს, რომ **უპასუხისმგებლობა სახელმწიფო ენის მიმართ პირდაპირი ნიშანია სახელმწიფოებრივი უპასუხისმგებლობისა**, რაც თანდათან იძლევა თავის სავალალო შედეგებს. სხვათა შორის, თავის დროზე ასეთივე პასუხისმგებლობის დეფიციტს ეფუძნებოდა მისი დემარში წინა ხელისუფლების კონტექსტში. მართალია, ის ნაბიჯი მაშინ ჩვენ (საზოგადოებამ) საჭიროებისამებრ გამოვიყენეთ, მაგრამ სულაც არ ცვლის ეს შეფასების ზოგად რაკურსს...

როდესაც ქალბატონი სალომე დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში გამოჩნდა, შეიძლება მისი სპეციფიკური აქცენტუაცია მთლიანი სიმპათიის ნაწილადაც კი აღიქმებოდა, მაგრამ როცა იგივე თავმოთნე ენობრივი დამოკიდებულება მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგაც იჩენს თავს, ეს უკვე რაღაც პერსონალური სინდრომის გამოხატულებაა; მით უფრო, მისივე სრულიად არადიპლომატიური, ამპარტავნული დამოკიდებულება ჩვენი საზოგადოების მიმართ, – მე **იმიტომ ჩამოვედი**, რომ ევროპაში შეგიყვანოთო!!!

რა გვიჭირდა, სახელმწიფო ენის სამართლებრივ სტატუსს მხოლოდ „მომსახურების ზონიდან გასული" პრეზიდენტი რომ უქმნიდეს.

**სამწუხაროდ, ძნელად მოძებნით ისეთ პოსტსაბჭოურ ქვეყანას, სადაც სახელმწიფო ენის განვითარებას ისეთი პოლიტიკური გაურკვევლობა ედობებოდეს წინ, როგორც ეს ჩვენს ქვეყანაშია. არადა, საქართველო საბჭოურ სისტემაში ეროვნული ენის დაცვა-მოვლის მხრივ ერთ-ერთი სანიმუშო იყო.**

ზემოთ ნახსენები სახელმწიფო უწყება, რომელსაც ერთი წლის წინ სახელმწიფო ენის უფლებების დარღვევის გამო მივუთითეთ, არის ჩვენი ქვეყნის **უსაფრთხოების სამსახური**. კერძოდ, ამ უწყებას მაშინ მისი **დასახელების წესის დარღვევით განთავსებაზე** ეთითებოდა. მართალი გითხრათ, რაღაც ოპერატიულ რეაგირებას ველოდით: ან დარღვევის გამოსწორებას, ანდა დაბარებას და ისეთსავე თითის დაქნევას, როგორიც მაშინ მოხდა, როცა ენის კანონპროექტი საპარლამენტო განხილვაზე უნდა გასულიყო. დიახ, დღეს პირველად ვხდები იძულებული ვთქვა, რომ იმ ეტაპზე ჩემთვის გაუგებარი მიზეზით ეს უწყება ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფო ენის კანონის მიღებას. ერთი სიტყვით, კანონპროექტის „დამცველთაგან" მე მომიწია მათი არცთუ გასაგები პრეტენზიებისა და ასეთი მუქარის მოსმენაც: თუ ამა და ამ პუნქტს არ შეცვლით, პრობლემები შეგექმნებათო. დელიკატურად შევიკავებთ თავს, რაზე იყო ლაპარაკი, თუ საჭიროდ მიიჩნევენ, დაე, თვითონ დაასახელონ; მხოლოდ იმას ვიტყვი, რაც მე ვუპასუხე: როგორც მეცნიერი, მე იმას ვერ გავაკეთებ, რაც არასწორად მიმაჩნია; ხოლო კანონის ბედი პარლამენტის გადასაწყვეტიამეთქი.

**მე იმ დროის შვილი ვარ, როდესაც სახელმწიფო უშიშროება ჩვენთვის მთავარ საშიშროებას წარმოადგენდა. დღეს კი, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქეს, მინდა მჯეროდეს, რომ ჩემი ქვეყნის უსაფრთხოებას ისევ ჩემი საფრთხეები არ უკავშირდება. ამიტომაც, როგორც საქართველოს მოქალაქე და ქართული ენის სპეციალისტი, გარკვეულ პასუხს ველი შემდეგ კითხვებზე: რატომ ეწინააღმდეგებოდა ეს უწყება სახელმწიფო ენის კანონის მიღებას? ამ კანონის მიღების შემდეგ რატომ იყო მისი ინტერესის სფერო სახელმწიფო ენის დეპარტამენტი? რატომ ეწინააღმდეგება ამ ეტაპზე ის სახელმწიფო ენის კანონის სრულიად კონკრეტული მოთხოვნის აღსრულებას (აბრის გადაადგილებას)? და ერთიც – ამ კონტექსტში: ჩვენს დამოუკიდებელ ქვეყანაში დღესაც იგივე ადამიანები რატომ არიან დაკვირვების „ობიექტი", რომელთაც საბჭოთა ცირკულარებით უთვალთვალებდნენ?..**

ყველაზე მსხვილი სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც პასუხისმგებელია სახელმწიფო ენის სრულფასოვან ფუნქციონირებაზე, **განათლებისა და მეცნიერების სამინისტროა.** ცალკე წერილი არ ეყოფა ქართული ენის მდგომარეობის შეფასებას ამ უწყების ფართო სამეურვეო სივრცეში, მაგრამ აუცილებლად უნდა ითქვას, რომ სწორედ აქ ხდება რამდენიმე მიმართულებით სახელმწიფო ენის **დისკრიმინაციულ მდგომარეობაში** ჩაყენება. გაუგონარი ამბავია: საკუთარ ქვეყანაში „კონსტიტუციით დაცული" სახელმწიფო ენა დისკრიმინაციას განიცდიდეს! მაგრამ ეს უეჭველი და დოკუმენტირებული ფაქტია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაშიც და, მით უფრო, უმაღლეს სასწავლებლებში, აგრეთვე, გამორჩეულად, მეცნიერებისა და განათლების თანამედროვე დაფინანსების წესებში. მარტო ეს რად ღირს: „რუსთაველის ფონდი" ჰქვია მეცნიერების დაფინანსების მთავარ სახელმწიფო წყაროს და ამ ფინანსების ერთი პროცენტიც არ ხვდება სახელმწიფო ენას! ხოლო თავად კონკურსის წესები ხაზს უსვამს სახელმწიფო ენის უუფლებო მდგომარეობას სამეცნიერო აზრის ფართო ასპარეზზე!..

არანაკლებ მწვავე პრობლემაა ის, რომ თავად ჩვენი **მეცნიერების განვითარების მწვავე კრიზისმა განსაკუთრებული ზიანი მიაყენა ქართული სახელმწიფო ენის პოლივალენტოვნებას** (იგულისხმება თანამედროვე სპეციალური ენები, ტერმინოლოგია და მისთ.).

**საზოგადოება, სამწუხაროდ, მიეჩვია იმ აზრს, რომ სახელმწიფო ენის დეპარტამენტზე ლაპარაკს აზრიც არა აქვს!**

**დიახ, იმ მტრულმა ძალებმა, რომელთაც ყველა ღონე იხმარეს, მაგრამ ვერ ჩაშალეს სახელმწიფო ენის კანონის მიღება, შემაფერხებელი მექანიზმები ჩართეს კანონის რეალიზაციის ეტაპზე და კანონით გათ-**



**ვალისწინებული „სახელმწიფო ენის დეპარტამენტის“ სახელით ისეთი „აღმასრულებელი“ სტრუქტურა შექმნეს, რომელიც თავად იქნებოდა სახელმწიფო ენის განვითარების მთავარი დამაბრკოლებელი.**

**კვირიკაშვილისეული სახელმწიფო ენის დეპარტამენტი ზედმიწევნით გამოხატავს პირუთვნელ ქართულ ანდაზას: „მე შევქმენ, შენ ამოგჩარეო!“ მისი დაარსების შემდეგ, გასული წლების პოლიტტურბულენტობაში ეს დეპარტამენტი ხატოვნად განასახიერებდა იმ სირაქლემას მდგომარეობას, რომელსაც თავი „ქართული ოცნების“ თბილ ქვიშაში აქვს ჩარგული, მაგრამ მთელი დარჩენილი ტანით იმ ფრონტს უმაგრებს პოზიციებს, რომელიც ყველა სახელმწიფოებრივ ნიშანს ებრძვის...**

**ჰოდა ახლა, როცა კანონის მიღებიდან შვიდი და დეპარტამენტის ამოქმედებიდან ხუთ წელზე მეტი გასულა, კვირიკაშვილისკენ თუ მარგველაშვილისკენ ხელის გაშვერა ნამდვილად აღარაფრის მთქმელია...**

ახლა პირდაპირ უნდა ითქვას, რომ **სახელმწიფო ენის მოვლა-პატრონობის საპატიო პასუხისმგებლობა პერსონალურად ეკუთვნის საქართველოს პრემიერ-მინისტრს**. ამას არა მისი – თავისთავად მნიშვნელოვანი –- პიროვნული თვისებების საფუძველზე, არამედ ობიექტური მიზეზების მოხმობით ვაცხადებთ:

ჯერ ერთი, სახელმწიფო ენის კანონის მიღება სწორედ მისი პირველი პრემიერობის დროს გახდა შესაძლებელი. ეს მხოლოდ „დროში დამთხვევა“ არ იყო, ყველა სხვა შემთხვევაში ეს ცდაც წარუმატებელი იქნებოდა.

მეორეც: დიდი მიხვედრა არ უნდა იმას, რომ კანონით გათვალისწინებული „სახელმწიფო ენის დეპარტამენტის“ იდეის ის მახინჯი ვერსია, რომელიც უკვე ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერობის შემდეგ (ისიც - საზოგადოების იძულებით) შეიქმნა, უპირველესად მისი მხარდაჭერილი იდეის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული.

და ერთიც - მთავარი: **სახელმწიფო ენის დეპარტამენტი ქვეყნის პრემიერ-მინისტრის უშუალოდ დაქვემდებარებული სტრუქტურაა და შეუძლებელია ირაკლი ღარიბაშვილი გულგრილი იყოს იმ სახელმწიფო უწყების მიმართ, რომელიც სინამდვილეში ქართული ენის მიმართ სახელმწიფოსა და პირადად მის დამოკიდებულებას უნდა განასახიერებდეს**. არა გვგონია, მცირედ მაინც შეესაბამებოდეს მის მოთხოვნებს დეპარტამენტის აქამდელი საქმიანობა და ის „სამუშაო გეგმა“, რომელიც „სახელმწიფო ენის სტრატეგიის“ სახელით გამოვიდა ამ უწყებიდან...

დღეს უთუოდ ყველამ დაინახა, რომ ღიად თუ ფარული მეთოდებით დაუნდობლად ებრძვიან ჩვენი სახელმწიფოებრიობის საფუძვლებს, რომელთა შორისაც სახელმწიფო ენას რიგითი ადგილი ნამდვილად არ ეკუთვნის. ისევ ხატოვნად რომ გამოვსახოთ: თითქოს ერთად აღმდგარა ყველა წყარო და არხი სახელმწიფო ენის უფლებათა შესალახად და მისი საარსებო სივრცის შესაზღუდად. აქ, ცხადია, არ ვლაპარაკობთ იმ თავისთავად პრობლემურ, მაგრამ ობიექტურ პროცესებზე, რაც ღია საინფორმაციო სივრცისა და ციფრული ტექნოლოგიების განვითარებას უკავშირდება. ამ შემთხვევაში გვინდა პირდაპირი, გამიზნული ენობრივი დივერსიის წყაროებზე მივანიშნოთ:

**პირდაპირი დივერსიაა ის, რაც გარე წარწერების სრული ქაოსის სახით ხდება ჩვენს დედაქალაქსა თუ რეგიონებში...**

**ენობრივი დივერსიაა ის, რაც სრული უკონტროლობის სახით ატყდება თავს ჩვენს მსმენელსა და მაყურებელს არსებითად ყველა „თავისუფალი“ ტელევიზიიდან...**

**უხეში დივერსიაა ახალ სახელწოდებათა ის უცნაური ჰიბრიდული წარმონაქმნები, რომლებიც ყველანაირ ენობრივ ნორმებს არღვევს და ერთიანად დაუპყრია საინფორმაციო სივრცეც და ბიზნესსფეროც: თბილისი ვოთერს, საირმე მინერალ ვოთერს, ნიუ-ჰოსპიტალი, ჯეო ჰოსპიტალსი, პალიტრა-ტივი, ქართულიTV, პოს-ტივი, პრაიმ-შოუ, პრაიმ-ტაიმი, პრაიმ-ჰაუსი, ფარმადეპო, ავერსიფარმა, ალტ-ინფო, ბიუთი ბოქსი, იმედი-LIVE, ვივამედი, მესიჯ-ბოქსი, ბურგერ კინგი, კლაბ შაურმა, ისთ ფოინთი, ელიტ ბილდინგ კომპანი, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, თვინს ჰოტელი, ბლუტაბლა, გრანდ სლემი, სათამაშოების ჩელენჯი და ასე - დაუსრულებლად!..**

**დივერსიაა ის, რაც ქალაქის შენობათა კედლების მინაწერებში ხდება და რაშიც მღვრიედ აირეკლება გარკვეული ფენების პოლიტიკური ეთიკაც და ესთეტიკაც...**

**დივერსიის ერთი სახეა საკუთარი სახელების ახალი არაოფიციალური ფორმებიც საინფორმაციო სივრცეში. ჩვენ გამოცდილი გვაქვს რუსულენოვანი დივერსია „გრიშა, მიშა, ნატაშა, კატუშა“ სახელების სახით, ახლა კი სხვაგვარად შემოკლებული ვერსიები იპყრობს ასპარეზს: გიო, ეკო, მაკო, თაკო, თამო, ეთო, ლი, თი...**

**დავუბრუნდეთ ძირითად სათქმელს:**

მთელი მსოფლიოსა და, კერძოდ, ჩვენი ქვეყნის წინაშე მთელი სიცხადით წარმოქმნილმა საფრთხეებმა ალბათ უფრო ცხადად დაგვანახა ავიც და კარგიც, მტერიც და მოყვარეც, უფრო მეტად დაგვაფიქრა ხსნის გზებსა და შესაძლებლობებზე. ამიტომაც ჩვენი საზოგადოების სასიცოცხლო ამოცანაა კონსოლიდაცია საერთო ფასეულობებისა და იმ პიროვნებების გარშემო, რომელთაც იდეალების ერთგულება გამოავლინეს...

ამავე დროს, ამგვარმა ლიდერებმა უნდა აღიარონ, რომ საქართველოს დღესაც საკმაოდ ჯანსაღი საზოგადოება ჰყავს. ეს რომ ასე არ იყოს, ჩვენი ქვეყანა ნამდვილად ვერ გაუმკლავდებოდა ამდენ „ამღვრეულ“ არჩევნებს. ყოველ შემთხვევაში, დღეს გონივრული არ არის იმის ლაპარაკი, რომ საქართველოს საზოგადოება არა ჰყავს, რაკი ის სააკაშვილმა „ჩარეცხა“; და თუ ამგვარ შეფასებაში სიმართლის წილია, ისიც სათქმელია, რომ იმავე საზოგადოების რეაბილიტაციას უკვე „ქართულმა ოცნებამ“ დააკლო ხელი და ეს გაჭიანურებული კრიზისი ე.წ. კოჰაბიტაციის იძულებითსა თუ ნებაყოფლობით პოლიტიკას უკავშირდება...

შორს რომ არ წავიდეთ, თავად დედაენის მსახურების სფეროში რამდენმა ჩვენმა პროფესიონალმა მეგობარმა ვეღარ შეინარჩუნა პრინციპულობა და სიმართლე და კონფორმისტულ-კოჰაბიტაციურ განურჩევლობას შეეხმატკბილა. ამიტომაც არის, რომ დღეს კოლექტიური ხმაც კი დაუკარგავთ იმ ჩვენს სახელოვან ინსტიტუტებს, რომელნიც თვით კომუნისტურ რეჟიმს არ ეპუებოდნენ ეროვნული ინტერესების დასაცავად; ახლა კი ლამის „ლიბერალობა“ გამოაცხადონ ენობრივი პოლიტიკის იდეად და, თუ „დრომ მოიტანა“, დიდ მოძღვართა დანატოვარსაც სახე უცვალონ და „ბიკი ყუფარიას“ სახელი დაარქვან!..

**...მაგრამ ამ პუბლიკაციის მთავარი ადრესატი მაინც ხელისუფლებაა: აუცილებელია, თვალი გავუსწოროთ იმ მწარე სიმართლეს, რომ პოლიტიკურმა აიწონა-დაიწონამ და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტრუქტურების არა პროფესიული ნიშნით, არამედ კოჰაბიტაციური ანგარიშით დაკომპლექტებამ ლამის თავად სახელმწიფოებრიობა შეიწირა... ცხადია, არც ის ამერიკული პრინციპი გამოადგება ჩვენს ჯერაც ხერხემალგაუმაგრებელ ქვეყანას, რომლის თანახმადაც: „მართალია N ძაღლიშვილია, მაგრამ ჩვენი ძაღლიშვილია!..“**

ამ ყველაფერს სწორედ **სახელმწიფო ენის ინტერესები** მალაპარაკებს და არა პოლიტიკური პრეტენზიების გამოთქმის სურვილი. თუმცა, რომ ვცადოთ კიდეც, ვერ გავექცევით იმას, რომ **სახელმწიფო ენის პრობლემები სერიოზული პოლიტიკის ნაწილია და ვინც ამას ივიწყებს ან უგულებელყოფს, თავად ადგას მცარ გზას**...

სათქმელი ნათლად და მოიარების გარეშე უნდა ითქვას:

**ქართული სახელმწიფოებრიობის ერთი მთავარი ხაზი სახელმწიფო ენის „ბრძოლის ველზე“ გადის**; ნებისმიერი განვითარებული ქვეყნის გამოცდილება აჩვენებს, რომ სწორედ აქ არის სუვერენიტეტის დაცვის უმთავრესი ასპარეზი. ცივილიზებული კაცობრიობა ამ ამოცანების რეალიზაციის პრაქტიკასაც გვთავაზობს და იმ საფრთხეებსაც გვიჩვენებს, რაც ჩვენს მდგომარეობაში მყოფ ქვეყნებს ემუქრება, თუ სათანადო სიფხიზლეს არ გამოიჩენენ და რესურსების მაქსიმალურ მობილიზებას ვერ შეძლებენ...

თუ ინტუიცია არ მღალატობს, ახლა ნამდვილად **დამდგარა ის გადამწყვეტი დრო, როდესაც მწარე რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ და, რაც მთავარია, არსებული რესურსების სრული მოკრება შევძლოთ სახელმწიფოებრივი ენობრივი პოლიტიკის წარსამართავად**.

# მაკა ჯოხაძე — ელვარე ნიჭით წარმოჩენილი



საიუბილეო თარიღი შეუსრულდა გამოჩენილ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს მაკა შუბუს ასულ ჯოხაძეს. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

**ქალბატონო მაკა!**
**ჩვენო ძვირფასო თანამოკალმევ!**

**საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი სიყვარულით მოგესალმებიან თანამედროვე ქართული მწერლობის გამორჩეულად მნიშვნელოვან და საყურადღებო წარმომადგენელს და გილოცავენ დაბადების დღეს.**

**თქვენი სამწერლო ნათლობა 1969 წელს შედგა, როდესაც გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოაქვეყნეთ პირველი მოთხრობა „ფიფქი“. თქვენს დებიუტს საყოველთაო მოწონება და აღიარება დაედარა, სამწერლო გზა დაგილოცეს ქართული პროზის ისეთმა კორიფეებმა, როგორნიც იყვნენ დემნა შენგელაია, არჩილ სულაკაური, ნოდარ დუმბაძე, ოთარ ჭილაძე...**

**მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები - მოთხრობები, რომანები, პიესები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, პუბლიცისტური თუ სამეცნიერო სტატიები, ესეები პერიოდულად ქვეყნდება სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.**

**თანამედროვე ქართული პროზა წარმოუდგენელია თქვენი ბრწყინვალე რომანებისა თუ მოთხრობების გარეშე. თქვენი რომანები „მკვდარ გუბეში ნასროლი კენჭები“, „მარადიული ბალაგანი“, მოთხრობების კრებულები „გურამ-გურამ“, „გადარჩენილი პეიზაჟი“, „ხანმოკლე დღესასწაულები“, „ფიჭვები უდაბნოში“ შეიყვარა ქართველმა მკითხველმა. ამ ნაწარმოებებით ხომ მათ წინაშე წარსდგა ქართული ცნობიერებით, ქართული სულიერებით გამორჩეული, მასშტაბურად მოაზროვნე შემოქმედი, რომელსაც სრულად აქვს გასიგრძეგანებული მწერლის როლი და მოვალეობა თანამედროვე ფეთქებადსაშიშ სამყაროში და ამიტომაც იბრძვის ყოველგვარი სიცრუის, სიყალბის, ორპირობის, გაუტანლობის, ამპარტავნობის წინააღმდეგ, ყველაფერ იმის წინააღმდეგ, რაც ქართველობის არსებობის ათასწლოვან წანამძღვრებს მოსპობითა და იავარქმნით ემუქრება. კარგად იცით, ქართველისთვის მშობლიური მიწა ერთდროულად ჯილდოც არის და სასჯელიც.**

**ამიტომაც გიყვართ მშობელი ერი, გიყვართ მისი შეცდომებითაც, ნაკლითაც, თავქარიანობითაც, გიყვართ იმიტომ, რომ მათი სამოსახლო ქრისტესავით ნაწამები, ჯვარცმული ქვეყანა აქამომდე სიკეთეებთან ერთად ამ ნაკლოვანებებმაც მოიყვანა. და გამოაღწევინა იმ უღრანებიდან, საიდანაც თავის დახსნა ბევრმა ჩვენზე ძლიერმა, ძლევამოსილმა იმპერიამ ვერ შესძლო. ამიტომაც შესცქერით ასეთი სიყვარულით თანამოძმეებს, რომლებიც მშობელ მიწას, როგორც დედის კალთას, ისე ეგლისებიან და სწამთ, რომ ეს საოცრად ჟრუანტელის მომგვრელი სანახები არაფრით ჩამოუვარდება ნოეს კიდობანს.**

**თქვენი თხზულებანი სიყვარულის პარადიგმებითაა სავსე, რადგანაც გწამთ, რომ სიყვარული ერთგულების ყველაზე დიდი და მტკიცე თავდებია...**

**თქვენი პროზის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს თქვენივე პიესები („ორი ცხოვრება“, „სასოწარკვეთილი თეატრი“, „პერსონალური გამოფენა“), რომლებიც თქვენი მრავალწახნაგოვანი ნიჭიერების კიდევ ერთ ელვარე გამოვლინებას წარმოადგენს.**

**რაც შეეხება თქვენს პუბლიცისტურ სტატიებს, შეიძლება თამამად განვაცხადოთ, რომ ისინი ქვეყნის ჭეშმარიტი ჭირისუფლის ნააზრევს წარმოადგენს, ღრმა დაფიქრებას ივერთა მიწის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე.**

**ამავე დროს ჩინებული მეცნიერი ბრძანდებით და ქართულ ლიტერატურისმცოდნეობას ამდიდრებთ თქვენი ნააზრევით, ასზე მეტი სამეცნიერო სტატიის ავტორს, გეკუთვნით ისეთი მნიშვნელოვანი მონოგრაფიები, როგორიცაა „სანდრო ცირეკიძე“ და „დავით კლდიაშვილის პროზის თავისებურებანი“, ამ უკანასკნელისათვის ფილოლოგიის დოქტორის წოდება მოგენიჭათ.**

**თქვენს თანამოკალმეებს კარგად ახსოვთ თქვენი გამოსვლები პარიზში, ჟორჟ პომპიდუს სახელობის კულტურის ცენტრის მიერ გამართულ მსოფლიოს მწერალ ქალთა პირველ საერთაშორისო კონგრესსა თუ ინდოეთში რაბინდრანათ თაგორის საიუბილეო საღამოზე, სადაც თქვენმა მოხსენებამ ამ დიდი ინდოელი მწერლის შემოქმედებაზე ფართო რეზონანსი გამოიწვია.**

**სხვადასხვა დროს მუშაობდით საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიაში, სადაც პროგრამებში „ალიონსა“ და „ნაშუადღევში“ მიგყავდათ რუბრიკა „ახალი წიგნები“. ტელემაუწყებლობა „იბერიაში“ იყავით საავტორო ლიტერატურული პროგრამა „სილუეტის“ ხელმძღვანელი, ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ პოეზიისა და პროზის განყოფილების გამგე, ამჟამად ხართ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი და საქართველოს საპატრიარქოს რადიომაუწყებლობა „ივერიის“ საავტორო პროგრამის „საუბრები ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, კულტურაზე“ ხელმძღვანელი. არჩეული იყავით საქართველოს მწერალთა კავშირის პროზის სექციის თავმჯდომარედ, არაერთი ლიტერატურული კონკურსის ჟიურის წევრად და თავმჯდომარედ.**

**თქვენი მრავალწლიანი ღვწა და რუდუნება ღირსეულად დაფასდა. მონიჭებული გაქვთ საქართველოს მწერალთა კავშირის, „მუზას“, „საგურამოს“ ილია ჭავჭავაძისა და რევაზ ინანიშვილის სახელობის პრემიები.**

**ქალბატონო მაკა!**

**თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავენ საიუბილეო თარიღს დიდებულ მწერალსა და ბანოვანს, ჭეშმარიტ მამულიშვილს და დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ დიდ შემოქმედებით გამარჯვებებს გისურვებენ...**

**საქართველოს მწერალთა კავშირი**

# ფინეთიდან ძალიან ახლოს არის სანკტ-პეტერბურგი...

**2023 წლის 4 აპრილი ევროპისთვის მნიშვნელოვან ისტორიულ თარიღად იქცა. ოდესღაც ნეიტრალური ფინეთი მსოფლიოს უძლიერეს სამხედრო ალიანსში, ნატოში შევიდა. გაწევრება ნატოს გენერალურმა მდივანმა, იენს სტოლტენბერგმა, და ალიანსის წევრმა ქვეყნებმა ოფიციალურად დაადასტურეს. ამიერიდან, ფინეთი გაერთიანების 31-ე სრულუფლებიანი წევრი-სახელმწიფოა. რაც შეეხება შვედეთს, მისი ალიანსში გაწევრიანება დროებით გადაიდო, რადგან, თურქეთი თანხმობას აჭიანურებს.**



ნატოს წესდების მიხედვით, ალიანსში გაწევრება კონსენსუსის ნიაგდაგზე ხდება. სპეციალისტების აზრით, თურქეთის საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებამდე, საკითხი არ გადაწყდება. ამერიკის სახელმწიფო მდივანმა სიხარულით შენიშნა, რომ ბატონ პუტინს ეკუთვნის მადლობა, რადგან, სწორედ მან დააჩქარა ფინეთის ნატოში გაწევრება თავისი არასწორი საქციელითო. სტოლტენბერგმა კი, იქედნურად დასძინა, რომ პუტინს ნაკლები ნატო სურდა თავის საზღვრებთან და მეტი მიიღოო. რას ცვლის რუსეთისთვის და, ზოგადად, ევროპისთვის ფინეთის ნატოში გაწევრება?

70 წელზე მეტია, რაც ფინეთმა სამხედრო მიუმხრობლობის სტატუსი გამოაცხადა. 1940 წელს, საბჭოთა კავშირთან ომის შედეგად, ფინეთმა თავისი ტერიტორიის დიდი ნაწილი დაკარგა. დამოუკიდებლობა შეინარჩუნა, მაგრამ საბჭოთა კავშირმა აიძულა, ნეიტრალური ქვეყანა გამხდარიყო. ფინეთს ყოველთვის უხდებოდა თავისი და საბჭოეთის მისწრაფებათა თანხვედრაში მოყვანა. მას შეზღუდული ჰქონდა ნატოსა და ევროკავშირში შესვლის უფლება. მხოლოდ ცივი ომის დამთავრების შემდეგ მიეცა ევროკავშირში გაწევრების შესაძლებლობა. საბჭოთა კავშირის უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანი იყო შვედეთისა და ფინეთის ნეიტრალურობა. 60-იანი წლებიდან მოყოლებული, ამ საკითხზე ხშირად იმართებოდა ხოლმე მოლაპარაკება.

გარღვევა 1973 წელს მოხდა, რამაც ჩამოაყალიბა ევროპის უსაფრთხოების ახალი სტრუქტურა ჰელსინკის დეკლარაციის საფუძველზე, რომელიც წინ უსწრებდა ეუთოს შექმნის ხელშეკრულებას. შვედეთისა და ფინეთის საკითხს განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდა საბჭოთა ხელმძღვანელობის ყველა თაობა, მათ შორის, ბორის ელცინის ადმინისტრაცია. საბჭოთა დიპლომატიის აზრით, ამ ორი ქვეყნის დემილიტარიზაცია საბჭოთა კავშირის უსაფრთხოების ქვაკუთხედი იყო. ახლა კი, მდგომარეობა რადიკალურად იცვლება. როგორც, ერთ დროს გორბაჩოვის მრჩეველმა, პაველ პალაჟჩენკომ განაცხადა, ფინეთის ნატოში გაწევრება რუსეთის უსაფრთხოების მიმართ სერიოზული ხიფათის შემცველია.

ასე თქვა, ამ საკითხზე მოლაპარაკებების პირადი მონაწილე ვარ და მახსოვს, თუ რამხელა ძალისხმევა და დრო სჭირდებოდა თითოეული შეთანხმების მიღწევას. ახლა კი, ყველაფერი წყალში ჩაიყარაო. შეიძლება, მოგვეჩვენოს, რომ ცნობილი რუსი დიპლომატის შეფასება გადაჭარბებულია, მაგრამ ფაქტია, რომ ნატოს საზღვარი რუსეთთან 1300 კილმეტრზე მეტით გაიზარდა, თან, შვედეთისა და ფინეთის საზღვრიდან ძალიან ახლოსაა მოსკოვი და პეტერბურგი. გარდა ამისა, საფრთხეშია უაღრესად განვითარებული რუსულ-ფინური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა და, რაც ყველაზე დამაფიქრებელია, ევროპაში გაჩნდა ბირთვული იარაღის განლაგების პოტენციური პლატფორმა.

შეიძლება ითქვას, ნატომ, რუსეთთან შედარებით, თვალშისაცემი უპირატესობა მიიღო, და არა მხოლოდ ტერიტორიული. ფინეთის სამხედრო მრეწველობა ძალიან მაღალ დონეზეა, რომელიც ნატოსგან დამოუკიდებლადაც წარმოადგენს საკმაოდ ანგარიშგასაწევ ძალას, აღჭურვილია რა, უაღრესად თანამედროვე სამხედრო ტექნიკით;

ფინეთის ნატოში გაწევრება უზრუნველყოფს გაძლიერებულ დაცვას ჩრდილო-აღმოსავლეთ ფლანგზე სანკტ-პეტერბურგის სიახლოვეს, ბალტიის ზღვასა და არქტიკაში; ბალტიის ზღვა, ფაქტობრივად, ნატოს შიდა წყლებად შეიძლება იქცეს...



**ნუგზარ ბ. რუხაძე**

POSTV

## დონალდ ტრამპი: საფრანგეთი ახლა ჩინეთისკენ მიდის



აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის განცხადებით, აშშ-მა დაკარგა გავლენა მსოფლიოში მას შემდეგ, რაც მან თანამდებობა დატოვა.

**„გიჟური მსოფლიო გვაქვს, რომელიც ფეთქდება და აშშ-ს აბსოლუტურად არ აქვს სათქმელი. და მაკრონი, რომელიც ჩემი მეგობარია, ჩინეთთან არის და უკანალზე კოცნის. საფრანგეთი ახლა ჩინეთისკენ მიდის“**, – განაცხადა დონალდ ტრამპმა. ჩინეთში ვიზიტის დროს, ემანუელ მაკრონმა ტაივანის საკითხთან დაკავშირებით თქვა, რომ ევროპა არ უნდა ჩაერთოს კრიზისებში, რომელიც მას არ ეხება და რაც ხელს შეუშლის სტრატეგიული ავტონომიის მიღწევაში.

## ბაიდენი ჩრდილოეთ ირლანდიაში



**ბელფასტის აეროპორტში აშშ-ის პრეზიდენტს ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი რიში სუნაკი დახვდა. მედიის ცნობით, ვიზიტი უკავშირდება „დიდი პარასკევის“ შეთანხმების 25 წლის იუბილეს, რომელმაც ხელი შეუწყო ჩრდილოეთ ირლანდიაში 30-წლიანი კონფლიქტის დასრულებას.**

როგორც ბაიდენმა აღნიშნა, აშშ მზადყოფნას გამოთქვამს, გააგრძელოს ნაკისრი ვალდებულების შესრულება მშვიდობის შესანარჩუნებლად. აშშ-ის პრეზიდენტის ვიზიტი იმ ფონზე ჩაინიშნა, როდესაც ბრიტანეთის დაზვერვამ განაცხადა, რომ ჩრდილოეთ ირლანდიაში ტერორიზმის საფრთხის დონე გაზრდილია.

## რუსეთმა ბალისტიკური რაკეტა გამოსცადა

**რუსეთში განაცხადეს, რომ საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა გამოსცადეს. როგორც რუსეთის თავდაცვის სამინისტროში ამბობენ, ასტრახანის ოლქიდან გაშვებულმა რაკეტამ სამიზნე ყაზახეთში მდებარე პოლიგონზე გაანადგურა.**

როგორც მოსკოვში აცხადებენ, რაკეტის გამოცდა წარმატებული იყო და „ამან დაასაბუთა იმ კონსტრუქციული და ტექნიკური გადაწყვეტილებების სისწორე, რომელსაც რუსეთი მიმართავს ახალი სტრატეგიული დანიშნულების მქონე სარაკეტო კომპლექსებზე მუშაობისას“.

## პენტაგონიდან გაჟონილი საიდუმლო დოკუმენტები

„ბიბისის“ ცნობით, პენტაგონიდან გაჟონილი საიდუმლო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ დასავლეთის ქვეყნების სპეციალური ძალები უკრაინაში იმყოფებიან.

**„ბიბისის“ მიხედვით, მედიის ყურადღება მიიპყრო ერთ-ერთმა დოკუმენტმა, სადაც აღნიშნულია, რომ უკრაინაში რამდენიმე ქვეყნის სპეციალური ძალები ოპერირებენ. მათ შორის ყველაზე დიდი კონტინგენტი უკრაინაში დიდ ბრიტანეთს ჰყავს – 50 ადამიანი. მას მოსდევს ლატვია – 17 ადამიანით, საფრანგეთი და აშშ – 15-15 ადამიანით, ნიდერლანდები კი – ერთი ადამიანით.**

დოკუმენტში არ არის მითითებული, სად იმყოფებიან და რას აკეთებენ უკრაინაში დასავლეთის ქვეყნების სპეციალური ძალების წარმომადგენლები. დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროში აღნიშნულ ინფორმაციაზე კომენტარს არ აკეთებენ და აცხადებენ, რომ სოციალური ქსელებით გავრცელებულ დოკუმენტებში ბევრი შეცდომაა.

## ყველა საკითხზე ამერიკას ბრმად არ უნდა ვენდოთ!..

**აშშ-თან ალიანსის შენარჩუნების მომხრე ვარ, მაგრამ არა იმ შემთხვევაში, თუ ყველა საკითხზე ბრმად უნდა მივყვეთ ვაშინგტონის პოზიციას,** – როგორც „პოლიტიკო“ წერს, ამის შესახებ განცხადება ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტმა, შარლ მიშელმა ფრანგულ სატელევიზიო შოუში სტუმრობისას გააკეთა.

შარლ მიშელს კომენტარი სთხოვეს საფრანგეთის პრეზიდენტის მიერ ჩინეთში ვიზიტის შემდეგ გაკეთებულ განცხადებაზე, რომელშიც ემანუელ მაკრონი აცხადებს, რომ ევროპა არ უნდა იყოს ყველა საკითხზე აშშ-ის მიმდევარი, რადგან ეს, მისივე თქმით, ევროკავშირს სტრატეგიული ავტონომიის მიღწევაში შეუშლის ხელს. როგორც მიშელი აცხადებს, ევროკავშირში ბევრი ეთანხმება მაკრონს და მის მიერ ჩამოყალიბებულ „სტრატეგიული ავტონომიის“ კონცეფციას.

**„რაც შეეხება აშშ-თან ურთიერთობებს, გასაგებია, რომ ევროკავშირის საბჭოში მოლაპარაკებების დროს, შესაძლოა, იყოს ნიუანსები და დელიკატური საკითხები. ზოგიერთი ევროპელი ლიდერი არ ისაუბრებდა ისე, როგორც ეს მაკრონმა გააკეთა. მივიჩნევ, რომ ბევრი ფიქრობს ისე, როგორც მაკრონი“**, – აღნიშნა შარლ მიშელმა.

## უკრაინა კანადისგან ბირთვულ საწვავს და იარაღს მიიღებს

**უკრაინა ატომურ ელექტროსადგურებში გამოსაყენებლად ბირთვული საწვავის შესყიდვაზე კანადურ კომპანია „კამეკოს“ შეუთანხმდა. კანადური კომპანია უკრაინას ბირთვული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ურანს 2035 წლამდე მიაწვდის.**

გადაწყვეტილება მიმდინარე წლის დასაწყისში მხარეებს შორის ხელმოწერილ პარტნიორობის შეთანხმებას ეფუძნება.

**კანადა უკრაინას იარაღსაც უგზავნის და რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს აფართოებს,** – ამის შესახებ კანადის პრემიერ-მინისტრმა, ჯასტინ ტრუდომ ტორონტოში უკრაინელ კოლეგასთან გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადა. მისი განმარტებით, კანადა საკუთარი სამხედრო საწყობებიდან უკრაინას გაუგზავნის 21 ათას ავტომატსა და საბრძოლო იარაღს, ასევე 38 ტყვიამფრქვევს და 2,4 მილიონ ტყვიას.

**„რუსეთის რეჟიმზე ზეწოლის შენარჩუნების მიზნით, ჩვენ ვაწესებთ სანქციებს კიდევ 14 რუსი ინდივიდუალური პირისა და 34 ორგანიზაციის წინააღმდეგ, მათ შორის კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერთან“ დაკავშირებულ ორგანიზაციებთან. იმისთვის, რომ გავზარდოთ ზეწოლა პუტინის ხელშემწყობებზე ბელარუსში, დამატებით სანქციებს ვაწესებთ ცხრა ორგანიზაციის წინააღმდეგ, რომლებიც დაკავშირებული არიან ბელარუსის ფინანსურ სექტორთან“**, – განაცხადა კანადის პრემიერ-მინისტრმა.

როგორც სააგენტო „როიტერი“ აღნიშნავს, 2022 წლიდან კანადამ უკრაინას 9 მილიარდი დოლარის ოდენობის სამხედრო და ჰუმანიტარული დახმარება გაუწია.

## მაკრონს სიტყვით გამოსვლა შეაწყვეტინეს

ინციდენტი ჰააგაში ნექსუსის ინსტიტუტის დარბაზში მოხდა, სადაც მაკრონი სიტყვით გამოდიოდა.

**საფრანგეთის ლიდერის სცენაზე გამოჩენას დარბაზიდან უკმაყოფილო ადამიანების შეძახილები მოჰყვა. „სად არის დემოკრატია საფრანგეთში? როდის დავკარგეთ?!“ – სკანდირებდა ერთ-ერთი მამაკაცი. ასევე, ისმოდა საფრანგეთში საპენსიო რეფორმის წინააღმდეგ მიმართული შეძახილები. ერთ-ერთ აქტივისტს ხელში ეჭირა პლაკატი წარწერით – „მაკრონი – ძალადობისა და თვალთმაქცობის პრეზიდენტი“.**

საპასუხოდ მაკრონმა განაცხადა, რომ ისინი, ვინც არ სცემენ პატივს საარჩევნო პროცესს და არჩეულ ლიდერებს, საფრთხეს უქმნიან დემოკრატიას.



ტრადიცია

# ვიტალი დარასელიას სახელობისა




**კოვიდპანდემიით გამოწვეული ოთხწლიანი იძულებითი პაუზის შემდეგ საქართველოს დედაქალაქმა მეხუთედ უმასპინძლა ვიტალი დარასელიას სახელობის ვაჟთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს, რომლის ინიციატორიც თბილისის დინამოს პრეზიდენტი რომან ფიფია გახლავთ.**

მადლიერებას იმსახურებენ გენერალური სპონსორი – კოკა კოლა და პარტნიორები – მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, თბილისის ფეხბურთის ფედერაცია და სასტუმრო ქლოქს ჰოტელ თბილისი.

რაც შეეხება სპორტულ მხარეს, მონაწილეთა ექვსეული ორ ჯგუფად განაწილდა: **„ა“ ჯგუფი** – დინამო, მონცა (იტალია), ყარაბაღი (აზერბაიჯანი). **„ბ“ ჯგუფი** – ბაშაქშეჰირი (თურქეთი), სევილია (ესპანეთი), ჯენოა (იტალია).

მოქმედმა ჩემპიონმა, რომელსაც **ვახტანგ იაგორაშვილი** წვრთნის, ზედიზედ დაამარცხა მონცა, ყარაბაღი და ნახევარფინალში ჯენოა, ხოლო ფინალში ტაიმბრეიკით სძლია სევილიას – 2:1 და ზედიზედ მეორედ შემართა მთავარი პრიზი. ოქროს გოლი ტურნირის საუკეთესო მოთამაშემ და ბომბარდირმა **ალექსანდრე ფეიქრიშვილმა** გაიტანა.

* * *

**ჩემპიონთა ლიგა.** მეოთხედფინალი. პირველი მატჩები. სიტი – ბაიერნი 3:0, ბენფიკა – ინტერი 0:2.

სუპერლიგა

# ტყიბულის ორბი ახალი წევრია



**სუპერლიგას ახალი წევრი შეემატა, რომელმაც საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში რეგიონის გუნდების რაოდენობა ხუთამდე გაზარდა. 2023-2024 წლების სეზონში ტყიბულს სუპერლიგაში საკუთარი გუნდი ეყოლება.**

საკალათბურთო კლუბმა „ორბმა“, რომელიც თბილისური ორგანიზაციაა, თუმცა მიმდინარე სეზონის წინ ტყიბულში გადავიდა, „ა“ ლიგის ფინალური სერია მოიგო და სუპერლიგის საგზური მოიპოვა. **ირაკლი ტომარაძისა** და **ნინო ყიფშიძის** გაწვრთნილმა გუნდმა სერიის მე-4 მატჩი სტუმრად, მოუგო გორის „ივერიონს“ და „ა“ ლიგის ჩემპიონი გახდა.

ფინალური სერია ტყიბულელებმა 2 საშინაო გამარჯვებით გახსნეს და საბოლოო წარმატებაზე ხმამაღალი განაცხადი გააკეთეს. სერიის მომდევნო, მე-3 მატჩი ივერიონმა საკუთარ მოედანზე იოლად მოიგო, რითაც ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა, თუმცა სერიაში საერთო ანგარიშის გასათანაბრებლად ძალა აღარ ეყო. ტყიბულელებმა მომდევნო შეხვედრა უპრობლემოდ მოიგეს.

გადამწყვეტი მატჩის საუკეთესო მოთამაშეები გახდნენ დემარკუს ეიდი და კენი კუპერი. ეიდიმ 23 ქულა, 10 მოხსნა და 4 პასი მიითვალა, კუპერმა კი – 20 ქულა, 10 მოხსნა და 6 პასი. 23 ქულა დააგროვა მიხეილ ჭოჭუამ. ბრძოლის შემდეგ გაიმართა დაჯილდოების ტრადიციული ცერემონიალი, რომელზეც სუპერლიგის ახალი წევრის, ორბის მოთამაშეებს შესაბამისი მედალიონები, სიმბოლური საგზური და თასი ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარემ **პაატა გურასპაულმა** გადასცა.

ოვალური ბურთი

# ყოჩებიდან – აიამდე

**საქართველოს ჩემპიონმა „ბათუმმა“ დიდი 10-ის მიმდინარე სეზონის ფლეი ოფის პირველ ეტაპზე ბოლნისის „ყოჩები“ 17:13 დაამარცხა და ტიტულის დაცვას აგრძელებს.**

ზღვისპირეთში გამართული მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და დაძაბული გამოდგა. მასპინძლები მეტოქეზე მეტხანს აკონტროლებდნენ ბურთს, ერთით მეტი ლელო გაიტანეს და 23 აპრილს ქუთაისში, „აიას“ წინასწარი ფინალის საგზურისთვის შეერკინებიან.

თამაში მაღალ ტემპში, ბათუმელთა შეტევებით დაიწყო და უკვე მე-4 წუთზე მამუკა ნინიძემ ჯარიმით ანგარიში გახსნა. განახლდა თუ არა შეხვედრა, სტუმრებმა მეტოქე წნეხში მოაქციეს, რომან მახათაძემ კარის წინ ხაზი გაქრა და ლელო გაიტანა, ლაშა მალაღურაძემ კი გარდასახა. ნინიძეს მე-17 წუთზე მეორე დარტყმა გაუცუდდა, ტაიმის შუაში კი ბათუმმა შეძლო „ყოჩების“ 22-ში ფეხის მოკიდება და 32-ე წუთზე მოლის შემდეგ ბექა მამრიკიშვილმა საპასუხო ლელო გაიტანა, ხოლო ნინიძემ გარდასახა – 10:7.



მეორე ტაიმის დასაწყისში „ბათუმს“ კიდევ ერთი ძალისმიერი ლელოს გატანა შეეძლო, მაგრამ ბოლო წამს დაჩი კოპაძემ ბურთზე კონტროლი დაკარგა. მერე „ყოჩები“ გააქტიურდა, მართალია მალაღურაძეს შორიდან ჯარიმა გაუცუდდა, თუმცა 1 წუთში მასპინძლებმა სინბინით (10 წუთით) გიორგი ფრუიძე დაკარგეს და ლაშამ იქვე წონასწორობა აღადგინა, 63-ე წუთზე კი კარის წინ 20 მეტრიდან არეკნი გაიტანა და სტუმრები წინ გაიყვანა.

თამაში რომ განახლდა „ბათუმმა“ უპირატესობა დაიბრუნა. რეზი ჯინჭველაშვილის ფეხით თამაშის შემდეგ, ბურთი მიწიდან ისე ასხლტა, პირდაპირ ბექა მამრიკიშვილის ნადავლი გახდა, რომელსაც სიჩქარე აკრეფილი ჰქონდა, 25 მეტრი სწრაფად დაფარა და ჯაბა ბრეგვაძის ბოჭვის მიუხედავად ლელო გაიტანა. ნინიძე გარდასახვიდან ზუსტი იყო. 72-ე წუთზე მალაღურაძის ფეხით თამაშის შემდეგ ბურთს უკვე ლევან გოგოლაშვილი დაეუფლა და ლელოშიც შევიდა, მაგრამ საქმეში ვიდეო-რეფერი ჩაერთო, მანამდე წესების დარღვევა დააფიქსირა და ტაბლო უცვლელი დარჩა.

ანგარიში არც დარჩენილ დროში შეცვლილა და „ბათუმი“ ფლეი ოფის მეორე ეტაპზე გავიდა, „ყოჩებმა“ კი სეზონი მე-4 ადგილზე დაასრულა. განვლილი მატჩის საუკეთესო მოთამაშე **ბექა მამრიკიშვილი** გახდა.

ფორუმზე



# ასანიძის რჩეულნი

**საქართველოს ძალოსანთა ნაკრების შემადგენლობა ევროპის ჩემპიონატისთვის ცნობილია. რჩეულნი გუნდის თავკაცმა გიორგი ასანიძემ დაასახელა.**

შემადგენლობაში 15 შტანგისტია, მაგრამ აქედან 6 სარეზერვო განაცხადშია. საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ასეთი შემადგენლობით გამოვა:

### ძირითადი განაცხადი

რამინ შამილიშვილი (55 კგ), შოთა მიშველიძე (61 კგ), გოდერძი ბერდელიძე (61 კგ), კახი ასანიძე (73 კგ), ირაკლი გიბეჯიშვილი (96 კგ), ირაკლი ჩხეიძე (102 კგ), გიორგი ჩხეიძე (109 კგ), ზაზა ლომთაძე (109 კგ), ლაშა ტალახაძე (+109 კგ).

### სათადარიგო განაცხადი

გოგა ჩხეიძე (67 კგ), გურამ გიორბელიძე (67 კგ), ბაქარ თურმანიძე (+109 კგ), მარიამ მაისურაძე (49 კგ), ნათია გადელია (81 კგ), ანასტასია გოტფრიდი (+87 კგ). შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატი 15-23 აპრილს სომხეთის დედაქალაქ ერევანში ჩატარდება.

ზარალი

# შუმახერის 2 მილიონი

**გასული სეზონის ბოლოს ამერიკულმა „ჰაასმა“ კონტრაქტი აღარ გაუგრძელა მიკ შუმახერს და როგორც გუნდის შეფი გიუნტერ შტაინერი ამბობს, ამის მიზეზი ის გარემოება გახდა, რომ გერმანელი პილოტის ავარიების დროს დაზიანებული მანქანის გარემონტებას სეზონის განმავლობაში 2 მილიონი დოლარი დასჭირდა.**

მიხაელ შუმახერის შვილმა ორჯერ – ჯედასა და მონაკოში მანქანა ძლიერ დაამტვრია, სეზონის მიწურულს კი სუზუკაზე პრაქტიკის დასაწყისში, რომელიც სველ ტრასაზე გაიმართა, დისტანციაზე ახალ გასულს შეცდომა მოუვიდა და მანქანა ჩამოწერა.




შტაინერი ამბობს, რომ მარტო ამ ავარიის გამო გუნდმა 700 ათასი დოლარი იზარალა. ამას შტაინერი ახლაც მტკივნეულად იხსენებს. ის აღიარებს, რომ ტრასა ძალიან სველი იყო, მაგრამ მანქანა არავის ჩამოუწერია და ყველა ფრთხილობდა.

**„ჩვენ მანქანა ხუთ წუთში დავკარგეთ და საათებში ახალი უნდა აგვეწყო. რაღაც იდიოტური რამ მოხდა. რამდენი ადამიანის დაქირავებას შევძლებდი ამ 700 ათას დოლარად?“** – ყვება შტაინერი.

რინგზე

# არის ასეთი ვარიანტიც

**ტაისონ ფიურის პრომოუტერი ბობ არუმი ამბობს, რომ შესაძლოა WBC-ს (კრივის მსოფლიო საბჭო) მძიმე წონის ტიტულის დასაცავად ფიური ენდი რუის უმცროსს შეხვდეს. ფიურის მძიმე წონის რამდენიმე ტიტულის მფლობელ უკრაინელ ოლექსანდრ უსიკთან უნდა ეჩხუბა, მაგრამ მეტისმეტად ბევრი მოითხოვა, რის გამოც ბრძოლა ჩაიშალა.**




შესაბამისად, უსიკი იძულებულია, სავალდებულო პრეტენდენტს, ბრიტანელ დანიელ დუბუას შეხვდეს და ამის შემდეგ ისევ სცადოს ფიურისთან დაპირისპირება.

არუმი ამბობს, რომ თუ რუისთან ბრძოლა გაიჩარხა, ის ზაფხულში გაიმართება. თუმცა ჯერ გარკვეული არაფერია.

**„ახლა ფიური ოჯახთან ერთად იტალიაში ისვენებს. როცა ინგლისში დაბრუნდება, ჩვენ დავილაპარაკებთ. ჩვენ საუკეთესო მეტოქეს ვურჩევთ. ბრძოლა ამ ზაფხულს, ბრიტანეთში გაიმართება. შესაძლოა, მეტოქე რუსის უმცროსი იყოს, ან ვინმე მისი სტილის მოკრივე“,** – ამბობს არუმი.

33 წლის რუისმა ენტონი ჯოშუასთან ქულებით წააგო და მას შემდეგ ზედიზედ ორ ბრძოლაში გაიმარჯვა. 2019 წელს, პირველ შეხვედრაში, მან ჯოშუა ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა და ტიტულები ჩამოართვა, თუმცა ექვს თვეში მათი მეორე დუელი წააგო და ყველა სარტყელი უკან დაუბრუნა.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ირაკლი მითაგვარიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ირაკლი მითაგვარია (პ/ნ 19001066103), ზუგდიდი, ს. კახათი, მ. კოსტავას ქ. №69

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ზუგდიდი, ს. კახათი (საკადასტრო კოდი: 43.17.45.476 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 25826.94 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 13 აპრილი, 16:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 27 აპრილი, 16:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP88358523;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 883585

6. **მოვალე:** ირაკლი მითაგვარია (პ/ნ 19001066103), ზუგდიდი, ს. კახათი, მ. კოსტავას ქ. №69

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP88358523; ლოტის ნომერი: 883585).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 27 აპრილის 12:00 საათამდე.

---

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ეგანა მურღუზოვას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ეგანა მურღუზოვა (პ/ნ 36001028170), რუსთავი, 6 მ/რ, №4, სართ. 3, ბინა 311

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

რუსთავი, 6 მ/რ, №4, სართ. 3, ბინა 311 (საკადასტრო კოდი: 02.04.01.049.01.311 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 45961.11 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 13 აპრილი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 27 აპრილი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP88357523;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 883575

6. **მოვალე:** ეგანა მურღუზოვა (პ/ნ 36001028170), რუსთავი, 6 მ/რ, №4, სართ. 3, ბინა 311;

მუსანბარ გუსეინოვა-ალიევა (პ/ნ 35001015883), რუსთავი, პავლე თოდრიას 1 ჩიხი, კორპ. 3, ბინა 38

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271 ძ 88357523; ლოტის ნომერი: 883575).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 27 აპრილის 12:00 საათამდე.

---

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ირაკლი დვალის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ირაკლი დვალი (პ/ნ 01006007616), თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზ. №7, სართ. 3, ბინა №22

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზ. №7, სართ. 3, ბინა №22 (საკადასტრო კოდი: 01.13.04.007.012.01.022 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 516474.62 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 13 აპრილი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 27 აპრილი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP88355923;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 883559

6. **მოვალე:** ირაკლი დვალი (პ/ნ 01006007616), თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზ. №7, სართ. 3, ბინა №22;

შპს „მანავის ფერმა“ (ს/ნ 402195655), თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზ. №7, სართ. 3, ბინა №22;

თარაშ დვალი (პ/ნ 01005040965), თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზ. №7, სართ. 3, ბინა №22.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP88355923; ლოტის ნომერი: 883559).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 27 აპრილის 12:00 საათამდე.

---

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს ოლეგი მარგველანის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ოლეგი მარგველანი (პ/ნ 12001027046), გარდაბანი, სოფელი კრწანისი, მე-3 ქ. №33

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

გარდაბანი, სოფელი კრწანისი (საკადასტრო კოდი: 81.04.22.071 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 2000 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 13 აპრილი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 27 აპრილი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP88355223;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 883552

6. **მოვალე:** ოლეგი მარგველანი (პ/ნ 12001027046), გარდაბანი, სოფელი კრწანისი, მე-3 ქ. №33;

ნიკო მარგველანი (პ/ნ 12001093579), გარდაბანი, სოფელი კრწანისი, მე-3 ქ. №33.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი 17თ 1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP88355223; ლოტის ნომერი: 883552).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 27 აპრილის 12:00 საათამდე.

# კვერცხის წითლად შეღებვის ტრადიცია

**ეს ჩვეულება ძალზე ძველია... ამაღლებამდე მაცხოვარმა მოწაფეები, რომელთა შორის მარიამ მაგდალინელიც იყო, სხვადასხვა ქვეყანაში დაგზავნა საქადაგებლად. მარიამი რომში ჩავიდა და პირდაპირ იმპერატორ ტიბერიუსის სასახლისაკენ გაემართა.**

ქალი, როგორც წარჩინებული გვარის ჩამომავალი და ცნობილი





პიროვნება იმპერატორთან დაუბრკოლებლად შეუშვეს. მან რომის მბრძანებელს კვერცხი მიართვა ძღვნად და მაცხოვრის აღდგომა ახარა.

**„მკვდარმა აღდგომა როგორ შეძლო?! ამის დაჯერება ისევე ძნელია, როგორც ამ თეთრი კვერცხის გაწითლება!“** – წამოიძახა ტიბერიუსმა, მაგრამ სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ კვერცხმა ფერი იცვალა – ჯერ ვარდისფერი გახდა, შემდეგ გაწითლდა.

ეს წითელი ფერი ჩვენი სულიერი სიხარულის, ზეიმის გამოხატულებაა იესო ქრისტეს მიერ სიკვდილის ძლევის, მისი მკვდრეთით აღდგომისა და ჩვენი ხსნის საქმეთა აღსრულების გამო. **„ქრისტე აღდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი!“**

**გიული ლიპარტია**

# „გადაიღე საქართველოში“

**სააგენტომ – „აწარმოე საქართველოში“ ქართული ფილმების კომერციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით ახალი პროგრამა დანერგა.**

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ინიციატივით, ქართული ფილმების კომერციალიზაციისა და საერთაშორისო ფესტივალებზე ჩვენების ხელშეწყობის მიზნით, ახალი პროგრამა აამოქმედა. პროგრამის ფარგლებში ქართული სრულმეტრაჟიანი ფილმების ჩვენებები მოეწყობა საერთაშორისო დონის კინოფესტივალებზე. ამასთან, ჩვენებებზე მოწვეული იქნებიან საერთაშორისო გაყიდვების აგენტები და დისტრიბუტორები, რაც ზრდის კონკრეტული ფილმის წარმატებულად გაყიდვის შანსს.

ახალი პროგრამა სააგენტოს დირექტორმა, მიხეილ ხიდურელმა კინოინდუსტრიის წარმომადგენლებს 11 აპრილს გამართულ შეხვედრაზე გააცნო. მისი თქმით, პროგრამის მიზანია, საერთაშორისო ბაზარზე ქართული კინოპროდუქციის პოპულარიზაცია და გაყიდვების ზრდის ხელშეწყობა მოხდეს.

იმისთვის, რომ კინოინდუსტრიაში ჩართულმა კომპანიამ მონაწილეობა მიიღოს „აწარმოე საქართველოში“-ს ფარგლებში ამოქმედებულ ახალ პროგრამაში, უნდა იყოს სააგენტოს პროგრამის „გადაიღე საქართველოში“ ბენეფიციარი ან გადაღებული ჰქონდეს ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსებული სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი; ასევე, დააკმაყოფილოს რამდენიმე კრიტერიუმი, მათ შორის იყოს რელევანტური კინოფესტივალთან, ფილმის პროდიუსერს ჰქონდეს საერთაშორისო პროექტებზე მუშაობის გამოცდილება და სხვა. კრიტერიუმების შესაბამისობას კომისია შეაფასებს.

მიხეილ ხიდურელის თქმით, სააგენტო სრულად დააფინანსებს თავად ფილმის ჩვენების ხარჯებს.

პროგრამაში ჩართვის მსურველებმა მონაწილეობაზე განაცხადი 2023 წლის 11 აპრილიდან 18 აპრილის ჩათვლით უნდა შეავსონ. გამარჯვებული ფილმები, რომლებიც საერთაშორისო კინოფესტივალზე გაემგზავრებიან, აპრილის ბოლოს გამოვლინდებიან. სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის „გადაიღე საქართველოში“ მიერ ამ ეტაპზე 30 განხორციელებული პროექტია, განხორციელებული ინვესტიცია, ჯამურად, 200 მილიონ ლარს შეადგენს, ანაზღაურებული თანხა კი 18 მილიონ ლარზე მეტია.




**სანთელი**

**თამაზ შილაკაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ოჯახის ახლო მეგობარი**

**ნანული ვლადიმერის ასული შარიქაძე**

**და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახის წევრებს და სანათესაოს.**

**გამოსვენება 13 აპრილს, 15 სთ-ზე. ჯორჯაძის ქ. №5.**

# ბორჯომის თოჯინების სახელმწიფო თეატრი საზეიმოდ გაიხსნა



**ბორჯომის თოჯინების სახელმწიფო თეატრი რეაბილიტაციის შემდეგ საზეიმოდ გაიხსნა. საღამოზე ნიკოლოზ საბაშვილის საავტორო სპექტაკლი „საქართველო“ წარადგინეს. მოეწყო ვებგვერდის წარდგინებაც, რომელიც საქართველოს თოჯინების თეატრების გაერთიანებაში შემავალი ხუთივე თეატრის საინფორმაციო ბაზას მოიცავს.**



# „მომავალი ჯანსაღი თაობისთვის“

**ფოთის მერიამ ახალი კამპანია – „მომავალი ჯანსაღი თაობისთვის“ დაიწყო,** – ამის შესახებ ინფორმაციას ფოთის მერია ავრცელებს.

მათივე ცნობით, კამპანიის ფარგლებში, ქალაქის ყველა კერძო და საჯარო სკოლის მოსწავლეს საშუალება აქვს ისარგებლოს საცურაო აუზის სერვისით და სპორტული დარბაზით საჩუქრად. მრავალფუნქციურმა საცურაო კომპლექსმა უკვე უმასპინძლა სამი საჯარო სკოლის 600-მდე მოსწავლეს, რომლებმაც მთელი დღის განმავლობაში სხვადასხვა სპორტული აქტივობები განახორციელეს.

**განცხადება**

**სააქციო საზოგადოება „თბილქალაქმშენი“ იწვევს თავის აქციონერებს საერთო კრებაზე, რომელიც შედგება 2023 წლის 3 მაისს 13.00 საათზე, საზოგადოების ადმინისტრაციულ შენობაში, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 57-ა.**

**დღის წესრიგი:**

**1. სს „თბილქალაქმშენის“ მიერ 2022 წელს გაწეული სამეწარმეო საქმიანობის შედეგების განხილვა.**

**სამეთვალყურეო საბჭო.**

## განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[I]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს გოგიტა ადამაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გოგიტა ადამაძე (პ/ნ 53001017743), წყალტუბო, სოფელი პატრიკეთი, დ. აღმაშენებლის ქ. №79

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

წყალტუბო, სოფელი პატრიკეთი, დ. აღმაშენებლის ქ. №79 (საკადასტრო კოდი: 29.17.31.023 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 3500 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 13 აპრილი, 16:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 27 აპრილი, 16:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP88358323;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 883583

6. **მოვალე:** გოგიტა ადამაძე (პ/ნ 53001017743), წყალტუბო, სოფელი პატრიკეთი, დ. აღმაშენებლის №79;

ლელა ტეფანია (პ/ნ 53001017738), წყალტუბო, სოფელი პატრიკეთი, დ. აღმაშენებლის №79.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP88358323; ლოტის ნომერი: 883583).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 27 აპრილის 12:00 საათამდე.

# „ე, ბიჭო, დამილიე ერთი ჭიქა ღვინო!“

(მეორე გვერდიდან)




– აქვე აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ ქართული სუფრის წარმართვის, ქეიფის შესახებ არაერთი მაღალი რანგის ავტორიტეტული უცხოელი დიპლომატისა თუ სახელმწიფო მოხელის, მოგზაურის, მწერლის მოწმობა არსებობს, რომლებიც ერთხმად აღნიშნავენ იმ მეტად საგულისხმო გარემოებას, რომ ნადიმის შემდეგ ღვინის ჭარბი მოხმარებით წაბარბაცებული კაცი იშვიათად თუ უნახავთ.

ახლა ერთი ქართული სადღეგრძელოს ამბავიც ვთქვათ: მათი მიახლოებით მსგავსი ხომ მსოფლიოს არც ერთ კულტურაში არ მოიპოვება! წეღან ის ხალხი ვახსენე, ვინც ჩვენში ვაზისა და ღვინის მოხმარების კულტურისადმი, საერთოდაც, ბევრი ეროვნული ღირებულებისადმი ჩრდილის მიყენებას ცდილობს, მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, სრულიად ტყუილად ირჯება! ახლა ვიღაცები ლამობენ სუფრასთან სადღეგრძელოს წარმოთქმის უძველესი ტრადიციის ძალით „გაახალგაზრდავებასა“ და საქმის ისე წარმოჩენას, თითქოს ეს წეს-ჩვეულება არა მამა-პაპათაგან მიგვეღოს, არამედ აგერ „გუშინ“ თუ „გუშინწინ“ წარმოშობილიყოს.

განა რა კომენტარი შეიძლება ამ უაზრობის შესახებ? ერთ რამეს გეტყვით მხოლოდ: მცხეთაში არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნ ბრინჯაოს სარტყელზე, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის მე-8 საუკუნით თარიღდება, დინამიკაში გამოსახულ ცხოველებსა და ფრინველებს შორის ორი კაცია ჩამომჯდარი, რომლებიც ერთმანეთს... სასმისებს უჭახუნებენ. როგორ ჰგონიათ ზოგ-ზოგებს, რომ ისინი ერთმანეთთან უბრად დასხდებოდნენ და სიხარულსა თუ დარდს არ გაუზიარებდნენ ერთმანეთს და ამას სადღეგრძელოს ფორმას არ მისცემდნენ?! გავიმეორებ: ზღვარგადასული ღრეობის კრიტიკა სავსებით გამართლებული და მისაღებია, მაგრამ ტრადიციის შეფასებას დიდი გონიერება სჭირდება და ვინც ასეთ თემაზე წერს მას ყოველთვის გამახვილებული უნდა ჰქონდეს სიფრთხილისა და ობიექტურობის გრძნობა.

**მიმაჩნია, რომ ელდარ ნადირაძის წიგნი „ვაზი და ღვინო საქართველოში“, კარგი საჩუქარია როგორც ქართველი ასევე ინგლისურენოვანი მკითხველისთვისაც. (მონოგრაფია ორენოვან გამოცემას წარმოადგენს). საგანგებოდ მსურს აღვნიშნო ნაშრომის ბრწყინვალედ ილუსტრირება რასაც უნდა ვუმადლოდეთ გატოგებს: მირიან კილაძეს, გიორგი გარისაშვილსა და ლუარსაბ ტოგონიძეს. სიამოვნებით ვუერთდებით ავტორის სამადლობელს ღვინის ეროვნული სააგენტოს, სპონსორის – ბატონი თენგიზ გავაშელისა და გამომცემლის – ბატონი კახა რუსიძის მიმართ, რომელთა ძალისხმევითაც დაიბადა ეს მშვენიერი წიგნი.**

**ოთარ ტურაბელიძე**

## ირანი ჰიჯაბზე კონტროლს ამკაცრებს



**ირანის ხელისუფლება ქალების ე.წ დრესკოდის გაკონტროლების მიზნით, საჯარო სივრცეში და ტრასებზე სათვალთვალო კამერებს აყენებს.**

პოლიციამ განაცხადა, რომ იდენტიფიცირებულ ქალებს მოსალოდნელ სასჯელთან დაკავშირებით გამაფრთხილებელი შეტყობინება წერილობით მიეცემათ. სახელმწიფო მედია იუწყება, ხელისუფლების ნაბიჯი ჰიჯაბის ტარების კანონის მიმართ წინააღმდეგობის აღკვეთაა, რადგან ამგვარი ამბოხი ზიანს აყენებს ქვეყნის სასულიერო იმიჯს და მოსახლეობაში დაუცველობის განცდას ბადებს.

## ფედჰა - ვირტუალური ტელეწამყვანი




**ქუვეითი გახდა ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, სადაც ტელეარხმა ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით ვირტუალური ტელეწამყვანი შექმნა.**

ტელეარხ Kuwait News-მა გაავრცელა მოკლე ვიდეორგოლი, რომელშიც ნაჩვენებია ფედჰა – ახალი ამბების ვირტუალური წამყვანი, რომელიც ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით შეიქმნა.

ფედჰა არის ქერა გრძელთმიანი ქალი, რომელსაც შავი პიჯაკი და თეთრი მაისური აცვია. ის ახალ ამბებს არაბულ ენაზე კითხულობს. ვიდეორგოლში ის საკუთარ თავს წარადგენს როგორც „ქუვეითში ახალი ამბების პირველი ვირტუალური წამყვანი“ და ამბობს, რომ მისი მიზანია „ტელემაყურებლებისთვის ობიექტური და სანდო ინფორმაციის მიწოდება“.

## ლიმიტირებული წარმოების ლუდი

**კომპანია Tesla ლიმიტირებული წარმოების ალკოჰოლური სასმელების გამოშვებას აგრძელებს. ელექტრომობილების მწარმოებელი კომპანიის მორიგი პროდუქტი გერმანული სტილის ლუდი GigaBier-ია, რომელიც Cybertruck-ის დიზაინით არის შთაგონებული და საკოლექციო ბოთლშია ჩასხმული.**

Tesla-ს ლუდი გერმანიაში, იწარმოება და ის ამერიკული კომპანიის გერმანულ წარმატებასთანაა დაკავშირებული. გასულ წელს ბერლინში Tesla-ს ახალი ქარხანა გაიხსნა, რომელიც ევროპის ბაზრისთვის განკუთვნილი ელექტრომობილების წარმოებითაა დაკავებული.




GigaBier-ის სამბოთლიანი შეფუთვის ღირებულება 89 ევროს შეადგენს და ის ლიმიტირებული რაოდენობით გაიყიდება. შეიძლება ითქვას, რომ Teslaquila-ს მსგავსად, GigaBier-იც საკოლექციო ნივთია.

## საგანგებო მდგომარეობა იტალიაში



**იტალიაში არალეგალი მიგრანტების ნაკადის ზრდის გამო საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადეს.**

მთავრობის განკარგულებით, ყველაზე მეტად დაზარალებული რეგიონები ხუთი მილიონი ევროს ოდენობით დახმარებას მიიღებენ. იტალიური მედიის ცნობით, ეს სახსრები დაიხარჯება მიგრანტების განთავსების ახალი ცენტრების მშენებლობაზე. საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის მოქმედების პერიოდში გამარტივებული იქნება ქვეყანაში არალეგალური გზით ჩასული პირების დეპორტაციის პროცედურა. ოფიციალური მონაცემებით, წლის დასაწყისიდან იტალიაში უკვე ჩავიდა 31 ათასი მიგრანტი. შარშან ამავე პერიოდში კი მათი რიცხვი 7 900-ს შეადგენდა. ლტოლვილები იტალიაში ძირითადად ტუნისიდან და ლიბიიდან ჩადიან.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

**ავტორთა საყურადღებოდ!**

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 19 აპრილს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.5274; ევრო - 2.7594;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1461;
100 რუბლი - 3.0781; თურქული ლირა - 0.1310;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4871;
1000 სომხური დრამი - 6.5148

**ამინდი 13 აპრილისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +8, | დღე +14 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +4, | დღე +13 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +7, | დღე +14 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +4, | დღე +10 |
| თბილისი: | ღამე | +11, | დღე +15 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge